პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 206 (10903)
შაბათი
31
აგვისტო
1957 წ.

ფასი 20 კაპ.

ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების მთავარი ხაზი

ხაბჭოთა სოციალისტური საზოგადოების ცხოვრება ხასიათდება საწარმოო ძალების მძლავრი აღმავლობით, ხალხის კეთილდღეობის განუწყვეტელი ზრდით, ხალხის შემოქმედებითი ძალებისა და ტალანტების სწრაფი განვითარებით, კულტურის აყვავებით. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავს საბჭოთა კავშირის ხალხები ხვდებიან სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებებით, რომლებიც მოპოვებულია კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

ხაბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩვენი ქვეყნის სახე ისე შეიცვალა, რომ ვეღარ იცნობთ. დიდ სოციალისტურ გარდაქმნათა მსვლელობაში ცხოვრების მატერიალური პირობების შეცვლასთან, სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის წარმოშობასა და განვითარებასთან ერთად უალიზდებოდნენ ახალი ადამიანები, კომუნიზმის საქმისათვის აქტიური და შეგნებული მებრძოლნი. სოციალისტური საზოგადოების შესანიშნავი თავისებურება ის არის, რომ იგი უსაზღვრო გასაქანსა და შესაძლებლობებს უქმნის ხალხის ყოველმხრივ სულიერ ცხოვრებას. ხაბჭოთა ხალხის შემოქმედებითი გენის მკაფიო გამოვლინების ერთ-ერთი უაღრესად დამაჯერებელი დადასტურებაა წარმოშობა და აყვავება ხაბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნებისა, რომლებიც მჭიდროდ დაკავშირებული არიან ცხოვრებასთან, ქმნიან დიდი იდეური და მხატვრული ძალის ნაწარმოებებს.

კომუნისტური პარტია, ხელმძღვანელობს რა ვ. ი. ლენინის მითითებებით, რომ ლიტერატურა და ხელოვნება კომუნიზმისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის შემადგენელი ნაწილია, ყოველთვის პირველხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებდა და ანიჭებს მწერლების, მხატვრების, მოქანდაკეების, კომპოზიტორების მოღვაწეობას, მრავალეროვნული ხაბჭოთა სოციალისტური კულტურის აყვავებას.

გუშინ „პრავდაში“ გამოქვეყნდა შემოკლებული შინაარსი ხაბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლისა ხაბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში მწერალთა თათბირზე 1957 წლის 13 მაისს, მწერალთა, მხატვართა, მოქანდაკეთა და კომპოზიტორთა მიღებაზე 19 მაისს და პარტიული აქტივის კრებაზე 1957 წლის ივლისში. ამ დოკუმენტში სათაურით „ხალხის ცხოვრებასთან ლიტერატურისა და ხელოვნების მჭიდრო კავშირისათვის“ ამომწურავი სისრულით და ნათლად ჩამოყალიბებულია უმნიშვნელოვანესი საკითხები კომუნისტური პარტიის პოლიტიკისა ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში. იქ მოცემულია ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების თანამედროვე მდგომარეობის ღრმა პარტიული ანალიზი, ხაზგასმით აღნიშნულია მათი უდიდესი როლი ხაბჭოთა საზოგადოების ცხოვრებაში, პარტიის იდეოლოგიურ მუშაობაში, განსაზღვრულია შემოქმედებითი მუშაკების ამოცანები ხაბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ხალხის საერთო ბრძოლაში.

ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების საკითხები, აღნშნავს ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი, არ შეიძლება განვიხილოთ იმ საარსებო ამოცანებისაგან მოწყვეტით, რომლებსაც ამყარებენ კომუნისტური პარტია და ხაბჭოთა ხალხი წყვეტენ.

მწერლების, მხატვრების, მოქანდაკეებისა და კომპოზიტორების წინაშე დამაჯერებლად და მკაფიოდ არის გაშლილი ხაბჭოთა ხალხის თავდადებული შრომის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის აღმავლობაში, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებაში მიღწეულ წარმატებათა დიდებული სურათი. მრავალი მაგალითი-თა და ფაქტით ნაჩვენებია კომუნისტური პარტიის, როგორც ხაბჭოთა ხალხის ბელადის, შთამაგონებელი და მაორგანიზებელი როლი, ხალხის ბაუფრელი კავშირი მასებთან, მისი დაუცხრომელი ხაქმიანობა ლენინური გენერალური ხაზის განსახორციელებლად.

ჩვენი სოციალისტური სამშობლოს აყვავებისათვის, ხალხის კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის დიდი ზრუნვით არის გამსჭვალული უმნიშვნელოვანესი ღონისძიებანი, რომლებიც პარტიამ ამ უკანასკნელ პერიოდში ცხოვრების ყველა დარგში განახორციელა.

ჩვენი პარტიის მთელი საქმიანობა თანამედროვე პირობებში მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემოქმედებითი გამოყენებისა და განვითარების ნიშანია, შეესაბამება ხალხის ძირეულ ინტერესებს. ეს ჭეშმარიტება ვერ გაიგეს ცხოვრებას მოწყვეტილმა ადამიანებმა, რომლებსაც თავი თეორეტიკოსებად მოაქვთ, საქმით კი კავშირი გაწყვეტეს ლენინიზმთან, დადგნენ პარტიის წინააღმდეგ ფრაქციული საქმიანობის გზას. ხაბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა ამხილა და იდეურად გაანადგურა ანტიპარტიული ჯგუფი მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვისა და მათთან მიმხრობილი შეპილოვისა, რომლებიც გამოდიოდნენ ხაბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული ლენინური კურსის წინააღმდეგ. მთელმა პარტიამ, მთელმა ხაბჭოთა ხალხმა მოიწონეს ხაბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის ეს გადაწყვეტილება, რომელიც მიმართულია პარტიის ლენინური ერთიანობის შემდგომი განმტკიცებისაკენ.

ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენცია ერთგულად ემსახურება თავის ხალხს, აქტიურად მონაწილეობს კომუნიზმის საქმისათვის ბრძოლაში. პარტიის XX ყრილობაზე აღინიშნა, რომ ხაბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები კომუნისტური პარტიის ერთგული თანაშემწეები არიან ახალი ხაზოგადოების მშენებლობის დიდი ამოცანების განხორციელებაში, მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში. მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ჩვენი მწერლები, ხელოვნების მუშაკები ჯერ კიდევ საკმაოდ მკაფიოდ და სრულად ვერ გვიჩვენებენ თავიანთ ნაწარმოებებში იმ დიად ისტორიულ გარდაქმნებს, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ხალხთა ცხოვრებაში მოხდა ხაბჭოთა წყობილების პირობებში. და ამ მხრივ ისინი დიდ ვალში არიან ხალხის წინაშე. კომუნისტური პარტია მოუწოდებს ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებს უფრო ღრმად ჩახწვდნენ ცხოვრებას, და მაშინ ათასობით ცოცხალი მაგალითი გვიჩვენებს, თუ როგორ შეიცვალა ადამიანთა ბედი, რა შესანიშნავი წარმატებები მოაქვს კომუნისტური მშენებლობის ყოველ დღეს.

ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებს, რომლებიც მჭიდროდ დაკავშირებული არიან ცხოვრებასთან, სწორად ესმით და წარმატებით წყვეტენ მათ წინაშე მდგომ ამოცანებს. ამასთანავე მათ შორის ჯერ კიდევ გვხვდებიან ცალკეული ადამიანები, რომელნიც ზოგჯერ კარგავენ ნიადაგს ფეხქვეშ, სცდებიან სწორ გზას, ცდილობენ აიდგინონ ლიტერატურა და ხელოვნება განვითარების მთავარ ხაზს.

„ПРАВДИС“ 29 АГВИСТОС
МОГВИНАВЗ.

★

„განვითარების მთავარი ხაზი კი ის არის, — ამბობს ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი, — რომ ლიტერატურა და ხელოვნება მუდამ განუყრელად იყონ დაკავშირებული ხალხის ცხოვრებასთან, მართლად ასახავდნენ ჩვენი სოციალისტური სინამდვილის სიმდიდრეს და მრავალფეროვანებას, მკაფიოდ და დამაჯერებლად გვიჩვენებდნენ ხაბჭოთა ხალხის დიდ გარდამქმნელ საქმიანობას, მის მისწრაფებათა და მიზანთა კეთილშობილებას, მაღალ მორალურ თვისებებს. ლიტერატურისა და ხელოვნების მაღალი ხაზოგადოებრივი დანიშნულებაა ხალხის დარაზმვა კომუნიზმის მშენებლობაში ახალი წარმატებებისათვის საბრძოლველად“.

სწორედ განვითარების ამ მთავარი ხაზის დაცვით ჩვენმა მწერლებმა და ხელოვნების მოღვაწეებმა სოციალისტური რეალიზმის მეთოდის საფუძველზე შექმნეს პროზისა და პოეზიის, დრამატურგიისა და კინოხელოვნების, ფერწერისა და მუსიკის თვალსაჩინო მხატვრული ნაწარმოებნი, რომლებმაც ფართო აღიარება და მაღალი შეფასება ჰპოვეს ხაბჭოთა ხალხში და ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

კომუნისტური პარტია მხარს უჭერდა და უჭერს ამ შემოქმედებითის მუშაკებს, რომელნიც ქმნიან მხატვრულ ნაწარმოებებს ხაბჭოთა ხალხის წარმატებათა შესახებ, ჩვენი შესანიშნავი ადამიანების, იმ ახლის, მოწინავის, დადებითის შესახებ, რაც შეადგენს მთავარს სოციალისტური საზოგადოების სინამდვილეში, რომელიც სწრაფად ვითარდება. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს მოწოდებას ცხოვრების ცალმხრივი ასახვისაკენ, ჩვენს მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა, სიძნელეთა მიჩქმალვისაკენ. ყველასათვის ცნობილია, რომ ჩვენი პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი მთელ თავიანთ საქმიანობაში იმის მაგალითს გვიჩვენებენ, თუ რა გაბედულად და მტკიცედ უნდა გამოვააშკარაოთ და აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი.

მთელი საკითხი ის არის, თუ რა პოზიციიდან და რის გულისათვის წარმოიებს კრიტიკა. პარტია ააშკარავებს და აკრიტიკებს ნაკლოვანებებსა და შეცდომებს იმისათვის, რომ აღმოფხვრას ისინი როგორც დაბრკოლება ჩვენს გზაზე, რათა კიდევ უფრო განამტკიცოს ხაბჭოთა წყობილება, უზრუნველყოს ახალი წარმატებანი და უფრო სწრაფი წინსვლა.

უნდა ვალიაროთ, რომ ლიტერატურასა და ხელოვნებაში ზოგჯერ არასწორად უდგებიან ხაბჭოთა ხაზოგადოების ცხოვრების გაშუქებას. ცალკეული ლიტერატორები, რომლებიც ვერ იცნობენ ცხოვრებას, არა აქვთ საჭირო პოლიტიკური გამოცდილება, იმის უნარი, რომ დაინახონ მთავარი, რაც განსაზღვრავს ცხოვრებას, ეძებენ ნაკლოვანებებსა და შეცდომებს, აგროვებენ უარყოფით ფაქტებს, ტენდენციურად ამუქებენ ფერებს და ზოგჯერ ღვარძლიანობენ დანახულ ნაკლოვანებათა გამო. მაგალითად, ახე მოუვიდა მწერალ ვ. დუდინცევს, ვისი წიგნიც „არა პურითა ერთითა“, რომელიც ამახინჯებს ჩვენს სინამდვილეს, საზღვარგარეთის რეაქციულ ძალებს სურთ ახლა გამოიყენონ ცილისწამებისათვის ხაბჭოთა წესწყობილების წინააღმდეგ. შემოქმედებითმა მუშაკებმა სამართლიანად გააკრიტიკეს და დაგმეს როგორც ასეთი ნაწარმოებნი, ისე ჟურნალი „ნოვი მირ“ და ალმანახი „ლიტერატურნაია მოსკვა“, რომლებიც ბეჭდავდნენ მანკიერ ნაწარმოებებს და ცდილობდნენ დაეცვათ ისინი კრიტიკისაგან.

კომუნისტური პარტია, ხაბჭოთა ხაზოგადოებიობა შეურიგებლად იბრძოდნენ და კვლავაც იბრძოლებენ ჩვენი სინამდვილის ცალმხრივი, არაკეთილსინდისიერი, არამართალი გაშუქების წინააღმდეგ.

გამოქვეყნებულ დოკუმენტში განსაკუთრებული სიცხადით არის ჩამოყალიბებული პარტიის თვალსაზრისი მხატვრული შემოქმედების უმნიშვნელოვანესი საკითხებზე. ჩვენ იმათი წინააღმდეგი ვართ, ვინც ცხოვრებაში მარტო უარყოფით ფაქტებს ეძებს, ცდილობს ცილი დასწამოს, სახელი გაუტეხოს ჩვენს ხაბჭოთა წესწყობილებას და ჩირქი მოსცხოს იმ შემოქმედებთს მუშაკებს, რომლებიც წერენ ჩვენს წარმატებებზე, მიაკიროს რა ასეთ მწერლებსა და მხატვრებს „შემლამაზებლის“ სალანძღავი სახელი. ჩვენ აგრეთვე იმათი წინააღმდეგი ვართ, ვინც ქმნის ბრუყვიალა, მოთაფლულ ნაწარათებს, რომლებიც შეურაცხყოფენ ჩვენი ხალხის გრძნობას, ხალხისას, რომელიც არ ილებს და არ იწყნარებს რაიმე სიყალბეს. ხაბჭოთა ადამიანები უარყოფენ ისეთ, არსებითად ცილისმწამებლურ თხზულებებსაც, როგორიც არის დუდინცევის წიგნი „არა პურითა ერთითა“, და ისეთ მოთაფლულ, გულისამრევ ფილმებსაც, როგორიც არის „დაუვიწყარი 1919 წელი“ ან „ყუბანელი კაზაკები“.

ლიტერატურისა და ხელოვნების მოვლენათა შეფასებაში ჩვენი პარტია ემყარება პარტიულობის ლენინურ პრინციპს. გამოქვეყნებული დოკუმენტის უდიდესი მნიშვნელობა ის არის, რომ მას სრული სინათლე შეაქვს შემოქმედების პარტიულობის, ხალხურობის, თავისუფლებისა და ლიტერატურისა და ხელოვნებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის საკითხების განმარტებაში. ხაბჭოთა სოციალისტური საზოგადოების ძალა კომუნისტური პარტიისა და ხალხის ერთიანობაშია. კომუნისტური პარტიის პოლიტიკა, რომელიც ხალხის ძირეულ ინტერესებს გამოხატავს, შეადგენს ხაბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილების სახეცოცხლო საფუძველს. ამიტომ არ შეიძლება ერთმანეთს დავუპირდაპიროთ პარტიულობისა და ხალხურობის ცნებები. დიდი შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ჩვენს პირობებში შეიძლება ისე ემსახურებოდე ხალხს, რომ აქტიურ მონაწილეობას არ იღებდე კომუნისტური პარტიის პოლიტიკის განხორციელებაში.

ხაბჭოთა საზოგადოების პირობებში იმ ხელოვანისათვის, რომელიც სიმართლით ემსახურება თავის ხალხს, სინამდვილის მოვლენებისადმი მიდგომის საკითხი ნათელია. ცხოვრების სიმართლით გაშუქება კომუნისტური პარტიულობის პოზიციებიდან მისი სულის მოთხოვნილებაა, იგი მტკიცედ დგას ამ პოზიციებზე, იცავს და იფარავს მათ თავის შემოქმედებაში.

ვ. ი. ლენინი, ითვალისწინებდა რა ლიტერატურისა და ხელოვნების მთელ სპეციფიკას, არაერთგზის აღნიშნავდა, რომ პარტია განზე ვერ გაუდგება ხელმძღვანელობას საზოგადოების სულიერი ცხოვრების ამ დიდმნიშვნელოვანი ნაწილისადმი, და თავის პრაქტიკულ მოღვაწეობაში, როგორც პარტიის ბელადი და ხაბჭოთა მთავრობის მეთაური, თანმიმდევრულად ახორციელებდა ამ პრინციპს. არ შეიძლება საზოგადოებაში ცხოვრობდე და თავისუფალი იყო საზოგადოებისაგან, აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი. იგი ამასთან ხაზს უსვამდა, რომ სოციალისტური საზოგადოების თავისუფალი ლიტერატურა აშკარად იქნება დაკავშირებული მუშათა კლასთან, რომ მას შთააგონებენ მშრომელთა ინტერესები, სოციალიზმის იდეები. ლენინი შეურიგებელი იყო იმათდამი, ვინც ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებში შორდებოდა პრინციპულ ხაზს, ექანებოდა ლიბერალურ პოზიციებზე იდეური შეცდომებისადმი დამოკიდებულებაში.

ხაბჭოთა საზოგადოების განვითარების მთელი ისტორია უაღრესი დამაჯერებლობით ადასტურებს, რომ პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელობამ, მათმა ყურადღებამ მხატვრული შემოქმედებისადმი და ზრუნვამ მწერლების, მხატვრების, მოქანდაკეებისა და კომპოზიტორების, კინოსა და თეატრის მოღვაწეებისათვის უზრუნველყო ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო წარმატებანი, სსრ კავშირის ყველა ხალხის სოციალისტური კულტურის აყვავება. პარტიის გადაწყვეტილებებში იდეოლოგიურ საკითხებზე განსაზღვრულია პარტიის პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ამოცანები და ძირითადი პრინციპები ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში, რომლებიც თავიანთ ძალას ამეჟამად ინარჩუნებენ. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია ლიტერატურისა და ხელოვნების განუხრელი კავშირი კომუნისტური პარტიის პოლიტიკასთან, რომელიც ხაბჭოთა ყოფილების სასიცოცხლო საფუძველს შეადგენს.

ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ კომუნიზმის საქმისათვის საერთო-სახალხო ბრძოლაში, სწორად ესმით იდეოლოგიური ცხოვრებისადმი პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელობის დიდი მნიშვნელობა და თავიანთი შემოქმედებითი მოღვაწეობა ვერ წარმოუდგენიათ, თუ ეს ხელმძღვანელობა არ იქნა. მაგრამ ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა შორის კიდევ გვხვდებიან ისეთი ცალკეული ადამიანები, „შემოქმედების თავისუფლების“ დამცველები, რომლებსაც თურმე აწუხებთ პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელობა. ისინი ილაშქრებენ ამ ხელმძღვანელობის წინააღმდეგ ზოგჯერ პირდაპირ, ხოლო უფრო ხშირად თავიანთ განწყობილებას ნიღბავენ ლაპარაკით ზედმეტ მეურვეობაზე, ინიციატივის შებოჭვაზე და სხვ. ასეთ ადამიანთა შორის აღმოჩნდნენ ცალკეული მწერლებიც — პარტიის წევრები, როგორც, მაგალითად, ამხ. მ. ალიგერი, რომლებსაც არა სურთ თავიანთი საქციელი შეუთანხმონ პარტიული დისციპლინის მოთხოვნებს, რომელსაც განსაზღვრავს პარტიის წესდება, იცავენ პარტიის წევრების ვალდებულებათა თავიანთ სუბიექტურ განმარტებას, თავიანთ არაპარტიულ ყოფაქცევას ფარავენ ლაყბობით ვითომდაც „შემოქმედებთ დამოკიდებულებაზე“ პარტიული ხელმძღვანელობისადმი. კოლექტივს მოწყვეტილი ერთეულების ასეთმა ყალბმა პოზიციებმა გამოიწვია როგორც კომუნისტი, ისე უპარტიო მწერლების სამართლიანი კრიტიკა.

პარტიამ მტკიცედ დაგმო და თანმიმდევრულად ასწორება შეცდომებს, რომლებიც დაშვებული იყო პიროვნების კულტის პერიოდში ცხოვრების ყველა დარგში, მათ შორის იდეოლოგიური მუშაობის საკითხებშიც. მაგრამ იგი ამასთან ერთად აგრეთვე მტკიცედ ილაშქრებს იმათ წინააღმდეგ, ვინც ცდილობს წარსულის ეს შეცდომები გამოიყენოს პარტიისა და სახელმწიფოს მხრივ ლიტერატურისა და ხელოვნებისადმი ხელმძღვანელობის წინააღმდეგ გამოსვლისათვის.

თვის გამოსვლებში მწერალთა და ხელოვნების მუშაკთა წინაშე ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი განსაკუთრებით უსვამს ხაზს, რომ ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარება წარმოებს ჩვენთვის უცხო ბურჟუაზიული კულტურის გავლენის წინააღმდეგ, დრომოჭმულ წარმოდგენათა და შეხედულებათა წინააღმდეგ იდეური ბრძოლის პირობებში, ჩვენი კომუნისტური იდეოლოგიის განმტკიცებისათვის ბრძოლის პირობებში. ამ ბრძოლაში მარქსისტ-ლენინელები გულგრილად და პასიურად ვერ მოეკიდებიან ლიტერატურასა და ხელოვნებაში ხაბჭოთა ადამიანების სულისკვეთებისათვის უცხო ბურჟუაზიულ შეხედულებათა შემოპარვის ცდებს, ჩვენი იდეური იარაღი ვარგისი უნდა იყოს და შეუფერხებლად მოქმედებდეს. პარტია გვასწავლის, რომ მთავარი იდეური იარაღია პრესა. როგორც არმიას არ შეუძლია იომოს უიარაღოდ, ისე პარტიას არ შეუძლია წარმატებით აწარმოოს თავისი იდეოლოგიური მუშაობა, თუ არ ექნება ისეთი ბასრი და საბრძოლო იარაღი, როგორიც არის პრესა. პრესის ორგანოები ყველაზე ერთგული, ყველაზე ხაიმედო, პოლიტიკურად მტკიცე და ჩვენი საქმის ერთგული მუშაკების ხელში უნდა იყოს.

დიდი და პასუხსაგებია პარტიული ორგანიზაციების, შემოქმედებითი კავშირების ამოცანები ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა იდეური აღზრდის, მარქსისტულ-ლენინური თეორიით მათი შეიარაღების, კომუნისტური პარტიის პოლიტიკის სწორად გაგების საქმეში. შემოქმედებითი კავშირები უნდა გახდნენ პრინციპულ საფუძველზე მტკიცედ დარაზმული, აქტიური მებრძოლი კოლექტივები. ეს განსაკუთრებით უნდა მოვაგონოთ მწერალთა კავშირის მოსკოვის განყოფილებას, რომლის მუშაობას სერიოზული ნაკლოვანებები ჰქონდა. საჭიროა, რომ შემოქმედებითს კავშირებში ნამდვილი მეგობრობა იყოს, რომ იქ ყოველდღიურად იჩენდნენ ამხანაგურ ზრუნვას თვითეული მწერლის, მხატვრის, მოქანდაკის, კინოს, მუსიკის, თეატრის მოღვაწის შემოქმედებითი ზრდისათვის. კოლექტივი დროზე უნდა უპერდეს მხარს ყოველ კარგ ნაწარმოებს, სასარგებლო ინიციატივის გამოჩენას შემოქმედებითს მუშაობაში. მეტად დიდმნიშვნელოვანია აგრეთვე დროზე შეამჩნიო ცალკეული შემოქმედებითი მუშაკების ნაკლოვანებანი და შეცდომები, თავიდან აიცილო პრინციპული პოზიციებიდან მათი დაქანების შესაძლებლობა, დახმარება და მხარდაჭერა გაუწიო იმათ, ვისაც ესაჭიროება. პარტია ემხრობა პრინციპულ საფუძველზე მთელი შემოქმედებითი ძალების კონსოლიდაციას, დარაზმვას და არა დათმობებსა და მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებისაგან დაშორებას. ამ კონსოლიდაციის ინტერესებისათვის ჩაღდება პრინციპული კრიტიკა და თვითკრიტიკა.

ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები კომუნიზმისათვის აქტიური მებრძოლები არიან, მათს საუკეთესო ნაწარმოებებზე მილიონობით ხაბჭოთა ადამიანი იზრდება. კომუნისტური პარტია, ხაბჭოთა ხალხი დარწმუნებული არიან, რომ მწერლები, პოეტები, მხატვრები, მოქანდაკეები, მუსიკოსები, კინოსა და თეატრის მუშაკები კვლავაც იქნებიან თავიანთი სოციალისტური სამშობლოს ღირსეული შვილები, მთელ თავიანთ ძალებს, თავიანთ ნიჭს მოახმარენ იმას, რომ ადიდონ ჩვენი ხალხის — კომუნისტური საზოგადოების მშენებელი ხალხის გმირული საქმეები.

№ 206 (10903)
ШАБАТИ
31
АГВИСТО
1957 Г.
ФАСИ 20 КАП.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

პროფესორ ი. ვ. დავიდოვსკისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის პროფესორ ი. ვ. დავიდოვსკის დაბადების სამოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით და მედიცინის მეცნიერების განვითარებაში და განსაკუთრებით ზოგადი პათოლოგიის დარგში მისი თვალსაჩინო დამსახურების აღსანიშნავად, პროფესორ იპოლიტე ვასილის-ძე **დავიდოვსკის** მიენიჭოს **სოციალისტური შრომის გმირის** წოდება და გადაეცეს **ლენინის** ორდენი და ოქროს medali **„ნამგალი და ურო“.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე
კ. ვოროშილოვი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1957 წ. 28 აგვისტო.

გამოქვეყნდა სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების და დიდი ბრიტანეთის მთავრობათა მეთაურების მიწერ-მოწერა 1941-1945 წლების დიდი სამამულო ომის დროს

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მიწერ-მოწერა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტებთან და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრებთან დიდი სამამულო ომის წლებში და პირველ თვეებში გამარჯვების შემდეგ — 1945 წლის დამლევამდე.

გამოცემაში ქვეყნდება აღნიშნულ პერიოდში ფ. რუზველტთან, ჰ. ტრუმენთან, უ. ჩერჩილთან და კ. ეტლისთან ი. ბ. სტალინის მიწერ-მოწერის ყველა დოკუმენტის სრული ტექსტები.

გამოცემა შედგება ორი ტომისაგან; პირველ ტომში შეტანილია უ. ჩერჩილთან და კ. ეტლისთან მიწერ-მოწერის დოკუმენტები, ხოლო მეორე ტომში—ფ. რუზველტთან და ჰ. ტრუმენთან მიწერ-მოწერის დოკუმენტები.

ამ პუბლიკაციის მიზანია ხელი შეუწყოს ისტორიული სიმართლის დადგენას, რადგან საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული იყო ზემოაღნიშნული მიწერ-მოწერის ტენდენციურად შერჩეული ნაწილები, რის შედეგად სსრ კავშირის პოზიცია ომის წლებში წარმოდგენილი იყო დამახინჯებული სახით.

პუბლიკაცია დასაბეჭდად მოამზადა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებულმა დიპლომატიური დოკუმენტების გამოცემის კომისიამ, რომელშიც შედიან მთელი რიგი საბჭოთა მეცნიერები, დიპლომატები და ჟურნალისტები.

ხსენებული გამოცემა პირველია დიპლომატიური დოკუმენტების პუბლიკაციების სერიიდან, რომლებსაც დასახელებული კომისია ამზადებს. ამჟამად მზადდება „სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის დოკუმენტების“ მრავალტომიანი გამოცემა, რაზეც უკვე იუწყებოდა საბჭოთა პრესა, და მთელი რიგი სხვა პუბლიკაციები.

ზემოაღნიშნული მიწერ-მოწერის დოკუმენტების გამოცემა რუსულ ენაზე განახორციელა პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ. უახლოეს დროში უცხო ენებზე ლიტერატურის გამომცემლობა ამ პუბლიკაციებს გამოუშვებს ინგლისურ ენაზე.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად

რვა თვის დავალება—10 დღით ადრე

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს საშენ მასალათა მრეწველობის სამმართველოს საბურთალოს აგურის მექანიკური ქარხნის კოლექტივი წელს დიდი და პასუხსაგები ამოცანების წინაშე დგას. ჩვენს ქვეყანაში საბინაო მშენებლობის განვითარების შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების გამოქვეყნების შემდეგ უმაგალითო მასშტაბით გაიშალა საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, რაც დიდი რაოდენობით მოითხოვს საშენ მასალას. საბურთალოელი მეაგურეების ვალია მშენებლებს მიაწოდონ რაც შეიძლება მეტი აგური. აღნიშნული დადგენილების გამოქვეყნების შემდეგ საწარმოს კოლექტივი ახალი ენერგიით შეუდგა საოქტომბროდ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლას და 8 თვის დავალება 10 დღით ადრე გაანაღდა. მარტო აგვისტოში გეგმის გადამეტებით 400.000-მდე ცალი წითელი აგური მიაწოდა მშენებლებს.

საბურთალოელმა მეაგურეებმა უკანასკნელ ხანებში მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს აგურის ხარისხი. რგოლა ღუმელში ჰაერშემწოვების სიმცირის გამო ცეცხლი უთანაბროდ ნაწილდებოდა, რაც აფერხებდა აგურის ნორმალურ გამოწვას. ინჟინერ გ. მუკარესის წინადადებით მოეწყო დამატებითი ჰაერშწოვები, რის შედეგად ცეცხლი თანაბრად მოქმედებს ყველა აგურზე და ერთნაირად წვავს მათ. ამ წინადადების წარმოებაში დანერგვამ საგრძნობლად გააუმჯობესა პროდუქციის ხარისხი.

წარმატებით მუშაობს ქარხნის კერამიკული საამქროს კოლექტივი, რომელმაც გადაწყვიტა დღესასწაულისათვის გამოუშვას 500 ცალი ლამაზად გაფორმებული საოჯახო სურა. უკვე გამოშვებულია 200 ცალი ასეთი სურა.

დაწინაურებული მქსოველები და მქსელავები

წელს თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კოლექტივი გაცილებით უკეთ მუშაობს, ვიდრე გასულ წლებში. განსაკუთრებით მკაფიოდ დაეტყო მუშაობის გაუმჯობესება ფაბრიკის კოლექტივს საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმის შემდეგ, როდესაც უკეთესი საწარმოო მაჩვენებლებისათვის ბრძოლა მასობრივად გაჩაღდა საამქროებს, განყოფილებებს, კომპლექტებსა და ცალკე მუშებს შორის.

შეჯიბრების მასობრივად გაშლამ კოლექტივს გაუადვილა საწარმოო გეგმების გადაჭარბებით შესრულება, პროდუქციის ხარისხის თანდათანობით გაუმჯობესების უზრუნველყოფა. 8 თვის საწარმოო გეგმა ფაბრიკაში ვადაზე რამდენიმე დღით ადრეა შესრულებული. მარტო აგვისტოში აბრეშუმმქსოველებმა საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 29 დღეში 104,6 პროცენტით შეასრულეს, 6 პროცენტით აამაღლეს შრომის ნაყოფიერება, საგრძნობლად შეამცირეს პროდუქციის თვითღირებულება და სამშობლოს 1.200 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია მისცეს.

ფაბრიკის საამქროებს შორის შეჯიბრებაში დაწინაურდა სამღებრო საამქროს კოლექტივი, რომელსაც შ. რაზმაძე ხელმძღვანელობს. მღებავებს მიმდინარე თვის შედეგების მიხედვით ფაბრიკის გარდამავალი დროშა მიეკუთვნათ.

აგვისტოში საუკეთესო მაჩვენებლები მოიპოვეს მქსოველებმა ე. შაოშვილმა, მ. ჩანადირმა, მ. ხასოშვილმა, მქსელავებმა ნ. ბარათაშვილმა, მ. გოქსაძემ და ლ. ციცქიშვილმა.

ყურძნის პირველი მოსავალი

თბილისიდან კახეთისაკენ მიმავალი გზატკეცილის მეოცე კილომეტრზე მდებარეობს სამგორის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა, რომელსაც საფუძველი 1954 წლის გაზაფხულზე ჩაეყარა. ამჟამად აქ 272 ჰექტარი ვენახი და 27 ჰექტარი ხეხილის ბაღი გაშენებული.

თბილისთან ახლო მდებარეობამ განსაზღვრა ამ მეურნეობის მევენახეობის მიმართულებაც. აქ გაშენდა სუფრის ისეთი ჯიშების ყურძენი, როგორიც არის განჯური, შასლა, წითელი ბუდეშური, ჩინური, გორული. არის კარგად ცნობილი ქართული ჯიში რქაწითელიც. საცდელად ორი ჰექტარი შამპანური ყურძნის ჯიშებს — პინოს და ალიგოტეს უკავია.

ვენახის მთელი ფართობიდან 47,6 ჰექტარი მეოთხე, ხოლო 90 ჰექტარი მესამე წელშია. მეოთხე წელში მყოფი შასლა, რქაწითელი, წითელი ბუდეშური წელს პირველ მოსავალს იძლევა. ამავე ჯიშების სამწლიან ნარგავებსაც აქვს თითო-ოროლა მტევანი. წელს მეურნეობამ 138 ტონა ყურძ

პარტიული ცხოვრება

საკოლმეურნეო პარეორგანიზაცია განიხილავს მეცხოველეობის შემდგომი განვითარების საკითხებს

ღია პარტიული კრება გორის რაიონის სოფელ დიცის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობაში

ვანარმოოთ მეგი ხორცი, რძე და კარაქი

კოლმეურნეობის თავმჯდომარის ამხ. ა. გოგრგიშელის მოხსენებიდან

ამხანაგებო! ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტია უდიდეს მუშაობას ეწევა სკკპ XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, რომელთა მიზანია სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარება, საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის განუწყვეტელი ამაღლება.

დიდი ღონისძიებები ხორციელდება მეცხოველეობის მკვეთრი აღმავლობისათვის, რომელიც წინათ სოფლის მეურნეობის ყველაზე ჩამორჩენილ დარგს წარმოადგენდა. ამას წინათ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, ხოლო შემდეგ პარტიის გორის რაიკომის პლენუმმა განიხილეს საკითხი „მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისა და ხორცის, რძის, კარაქის, კვერცხის, მატყლისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოების გადიდების ღონისძიებათა შესახებ“. პლენუმების მიერ მიღებული დადგენილებები ჩვენი სამოქმედო პროგრამაა მეცხოველეობის აღმავლობისათვის ბრძოლაში.

უნდა აღინიშნოს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შემდეგ განვლილ პერიოდში დიცის კოლმეურნეობამ მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა ხორცისა და რძის წარმოების გადიდების საქმეში. მაგალითად, 1953 წელს საშუალოდ მიღებულ იქნა 116 ლიტრი, ხოლო 1956 წელს — 1.300 ლიტრი რძე. მიმდინარე წლის 20 აგვისტოსათვის კი გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით მიღებულია 147 ლიტრით მეტი რძე.

ასევე დიდად გაიზარდა ხორცის წარმოება, კერძოდ, ღორის ხორცის წარმოება. თუ 1953 წელს ყოველ 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე მიღებულ იქნა 12,5 ცენტნერი ხორცი, ათ შორის ყოველ 100 ჰექტარ სახნავზე 1,13 ცენტნერი ღორის ხორცი, 1956 წელს უკვე მივიღეთ 23 ცენტნერი ხორცი, აქედან 5,5 ცენტნერი ღორის ხორცი. იმისათვის, რომ წელს ყოველ 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე მივიღოთ 38 ცენტნერი ხორცი, გამოყოფილი და სუქებაზე დაყენებულია 146 ღორი და 124 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი. ეს მთლიანად უზრუნველყოფს ჩვენს მიერ პარტიის მოწოდების პასუხად ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას.

ამ წარმატებებს კოლმეურნეობამ მიაღწია ჯოგში პირუტყვის ჯიშიანობის გაუმჯობესებისა და საკვები ბაზის განმტკიცების შედეგად. საკვებით პირუტყვის უზრუნველყოფის საკითხი ძირითადად გადაწყვეტილ იქნა სასილოსე სიმინდისა და მრავალწლიანი ბალახების ნათესი ფართობის გადიდების გზით. შარშან თვითეულ ძროხაზე დავამზადეთ 6 ტონა სილოსი, წელს კი ერთიორად მეტ სილოსს ჩავდებთ.

დიდი ღონისძიებები განხორციელდა პირუტყვისათვის კეთილმოწყობილი ბინების ასაგებად. აშენდა აგრეთვე სასილოსე ორმოები და კომბები. მომავალი წლისათვის კოლმეურნეობას გათვალისწინებული აქვს ააშენოს საღორე სუქებაზე დაყენებული ღორებისათვის.

მაგრამ მეცხოველეობის განვითარების საქმეში ჯერ კიდევ ბევრია ნაკლი და ხარვეზი. მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მხრივ ჩვენი კოლმეურნეობა, მიუხედავად მოპოვებული წარმატებებისა, კვლავ ჩამორჩება რესპუბლიკის მოწინავე კოლმეურნეობებს.

შეუძლია თუ არა კოლმეურნეობას უახლოეს წლებში ერთიორად და მეტად გაადიდოს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება? რა თქმა უნდა, შეუძლია, თუ ფართოდ გამოვიყენებთ მოწინავე კოლმეურნეობათა გამოცდილებას და კრიტიკულად მივუდგებით ჩვენი მუშაობის ნაკლოვანებებს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების საქმეში.

უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ მეცხოველეობის მუშაკთა შორის სუსტად არის დაყენებული პოლიტიკურ-აღმზრდელობითი და კულტურულ-მასობრივი მუშაობა. აგიტატორებს დაავიწყდათ გზა მეცხოველეობის ფერმებისაკენ.

ზოგიერთი კომუნისტი თავს არიდებს მეცხოველეობის ფერმებში მუშაობას. მაგალითად, კომუნისტებმა ა. და მ. ჯალაბაძეებმა უარი განაცხადეს პირუტყვის მომვლელებად მუშაობაზე. ჩვენს პარტიულ ორგანიზაციაში 26 კომუნისტია. მათ შორის ცოტანი როდი არიან ისეთები, რომლებსაც ძროხის სუნი „არ უყვართ“. ამ ამხანაგებთან უფრო მეტი მუშაობაა საჭირო.

ბევრი ნაკლია პირუტყვის მოვლა-პატრონობის საქმეში. ცუდად უვლიან პირუტყვს მწყემსები კ. რომელაშვილი, გ. საური და შ. მახათაძე.

გარდატეხა

ამ რამდენიმე წლის წინათ დიცის კოლმეურნეობაში მეცხოველეობა სოფლის მეურნეობის ყველაზე ჩამორჩენილი დარგი იყო. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის პლენუმის შემდეგ საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციის მეთაურობით შეუპოვარი ბრძოლა გაჩაღდა ჩამორჩენის დაძლევისათვის.

მოკლე ხნის განმავლობაში დიცელმა კომუნისტებმა და ყველა კოლმეურნემ დიდი მუშაობა გასწიეს მეცხოველეობის წამოსაწევად და თვალსაჩინო შედეგებიც მოიპოვეს. ეცნობით მეცხოველეობის ფერმების მუშაობას და ნათლად ხედავთ, რომ მიღწეულია ნამდვილად დიდი გარდატეხა. ამ გარდატეხაზე მეტყველებენ შემდეგი ციფრები:

1953 წელს საშუალოდ ერთ ძროხაზე მიღებული იყო 116 ლიტრი რძე, 1954 წელს — 242 ლიტრი, 1955 წელს — 951, 1956 წელს — 1.300. მიმდინარე წლის 20 აგვისტოსათვის უკვე მიღებული 983 ლიტრი რძე. დიცელი მეცხოველეები იმისათვის იბრძვიან, რომ წელს 1 500-მდე ლიტრი რძე მიიღონ საშუალოდ ერთ ძროხაზე.

განუწყვეტლივ იზრდება მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე. ამას ნათლად მოწმობს ქვემოთ მოყვანილი ცხრილი.

წლები	რძე (ცენტნერობით)	ხორცი (ცენტნერობით)
1953	7,8	12,5
1954	17,11	20,88
1955	90,55	21,90
1956	120,0	23,0
1957 (გეგმით)	135,0	38,0

სამი წლის წინათ კოლმეურნეობაში არც ერთი ჯიშიანი ძროხა არ ჰყავდათ. დღეისათვის კი ძროხების 60 პროცენტი ჯიშიანია.

განსაკუთრებით დიდი მუშაობაა გაწეული პირუტყვის საკვები ბაზის განმტკიცებისათვის. წინათ კოლმეურნეობაში საკვები კულტურების თესვას არ მისდევდნენ, პირუტყვს მხოლოდ ნამჯითა და ჩალით კვებავდნენ, რის გამო წველადობა დაბალი იყო. მრავალწლიანი ბალახები პირველად 1954 წელს დათესეს. ამ გზით 1955 წელს მიღებულ იქნა 40 ტონა თივა, ხოლო 1956 წელს — 200 ტონა.

წინათ პირუტყვის სილოსით კვებას ნაკლები ყურადღება ექცეოდა. 1953 წელს თვითეულ ძროხაზე მხოლოდ 1,5 ტონა სილოსი ჩადეს. ამ ჩამორჩენის დასაძლევად კოლმეურნეობაში ყოველწლიურად ზრდიდნენ სილოსის დამზადებას. მაგალითად, 1954 წელს ჩადებულ იქნა 150 ტონა სილოსი, 1955 წელს — 260, ხოლო 1956 წელს — 660 ტონა, ესე იგი თვითეულ ძროხაზე დამზადდა 6 ტონაზე მეტი სილოსი. წელს ჩადებულ იქნება სულ ცოტა 1.600 ტონა სილოსი, რისთვისაც დათესილია 100 ჰექტარამდე სასილოსე სიმინდი ნაცვლად გასული წლის 60 ჰექტარისა.

უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში დიდი სამშენებლო სამუშაოები შესრულდა. მოკლე ხანში დამთავრდება მეძროხეობის ფერმის მექანიზაცია, ფერმის შენობამდე უკვე მიყვანილია ელექტროხაზი, დამთავრებულია საჰაერო გზის მოწყობა. გაცხოველებით მიმდინარეობს ავტოსარწყულებლებისა და საკვების შესამზადებელი მექანიზმების დადგმა. შარშან და წელს დამატებით აშენდა 830 ტონის ტევადობის სასილოსე ნაგებობანი. უახლოეს დღეებში დამთავრდება სახბორეს მშენებლობა.

პარტიული ორგანიზაცია სისტემატურად ზრუნავს მეცხოველეობის ფერმების კადრებით განმტკიცებისათვის. ამჟამად ფერმებში 3 კომუნისტი და 4 კომკავშირელი მუშაობს. მეცხოველეობის მუშაკები ჩაბმული არიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავ შეჯიბრებაში და წარმატებით ახორციელებენ ნაკისრ ვალდებულებებს. საოქტომბრო შეჯიბრებაში მოწინავეა მწველავი მარიამ ჯალაბაძე. მას მოსავლელად ჩაბარებული ჰყავს 13 ძროხა. 20 აგვისტოსათვის საშუალოდ ერთ ძროხაზე უკვე მიღებული ჰქონდა 1.455 ლიტრი რძე. ასევე ფერმატანით შრომობენ რძის წარმოების გადიდებისათვის მწველავები სონა ჯალაბაძე, ქრისტინე ყორანაშვილი და სხვები.

ყოველწლიურად იზრდება მეცხოველეობიდან მიღებული შემოსავალი. მაგალითად, 1956 წელს სოფლის მეურნეობის ამ დარგის შემოსავალმა 142 ათასზე მეტი მანეთი შეადგინა, წელს კი 200.000 მანეთს გადააჭარბებს.

დიცელი მეცხოველეები მიღწეულით არ კმაყოფილდებიან. ისინი თავდადებით მუშაობენ იმისათვის, რომ წარმატებით განახორციელონ პარტიის მიერ დასახული ამოცანა — უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ. ამ ამოცანის შესასრულებლად მათ მიზნად აქვთ დასახული ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე მიიღონ: 1958 წელს რძე 180 და ხორცი 51 ცენტნერი, 1959 წელს რძე 212 და ხორცი 60 ცენტნერი, ხოლო 1960 წელს რძე 247 და ხორცი 62 ცენტნერი.

ამ დღეებში შედგა კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის ღია კრება, რომელმაც განიხილა საკითხი: „მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისა და ხორცის, რძის, კარაქის, კვერცხის, მატყლისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოების გადიდების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და პარტიის გორის რაიკომის პლენუმების დადგენილებები და კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები“. ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ა. გორგიშელმა. კომუნისტებთან ერთად კრებას ესწრებოდნენ კოლმეურნეობის გამგეობის წევრები, ბრიგადირები, მეცხოველეობის ფერმების მუშაკები და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები.

ქვემოთ იბეჭდება ღია პარტიული კრების ანგარიში.

ხორცის წარმოების გადიდებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მეღორეობის შემდგომ განვითარებას. მაგრამ მეცხოველეობის ამ დარგს ჩვენთან ჯერ კიდევ არ ექცევა სათანადო ყურადღება. გასულ წელს კოლმეურნეობამ გაყიდა 138 გოჯი — თვითეული 10 კილოგრამის წონისა. მაგრამ გოჯები რომ გაგვეზარდა და მაშინ გაგვეყიდა, როცა თვითეულის წონა 70 კილოგრამს მიაღწევდა, კოლმეურნეობა ნაცვლად 13,80 ცენტნერისა 96,60 ცენტნერ ღორის ხორცს მიიღებდა. წელსაც ივნისამდე 100-მდე გოჯი გაიყიდა რვა-რვა კილოგრამის წონისა. ასეთი რამ მომავალში არ უნდა გამეორდეს.

დიცელი კოლმეურნეები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ პარტიის მიერ დასახულ ისტორიულ ამოცანას — უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ. ამ ამოცანის წარმატებით შესრულებისათვის კოლმეურნეობის გამგეობამ და პარტიულმა ორგანიზაციამ შეიმუშავეს ვალდებულებანი და ეს ვალდებულებანი ერთხმად მოიწონა კოლმეურნეთა საერთო კრებამ.

ახლა ამოცანა ის არის, რომ მთელი ძალით გავაჩაღოთ შეჯიბრება ნაკისრ ვალდებულებათა სასახელოდ შესრულებისათვის, იმისათვის, რომ ახალი წარმატებებით შევხვდეთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავს.

მეგი პროდუქტები ყოველ 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე

გ. ხაჩიური, მეცხოველეობის ფერმის გამგე

ამ სამი-ოთხი წლის წინათ სამარცხვინოდ ჩამოვრჩებოდით წველადობაში. შარშან პირველ მნიშვნელოვან წარმატებას მივაღწიეთ წველადობის ზრდის საქმეში. მაგრამ კვლავ ცოტას ვაწარმოებთ მეცხოველეობის პროდუქტებს ყოველ 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე. ეს ითქმის განსაკუთრებით ღორის ხორცისა და კვერცხის წარმოებაზე.

მეფრინველეობის ფერმის ეზოს შემოღობვას არაფერი ეშველა. ფერმები უკეთესი კადრებით უნდა იყოს დაკომპლექტებული, რადგან საქმის წარმატება დიდად არის დამოკიდებული მცოდნე და გამოცდილ ადამიანებზე. მომვლელები კ. გუგუტიშვილი, ს. არჩვაძე ცუდად უვლიან პირუტყვს. მუშაობის მისაბაძ მაგალითს ვერ იძლევიან მწველავები ე. ქოქოშვილი და ნ. არჩვაძე.

ახლა წველადობის წინა თვეების დონის შენარჩუნება დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ მოვაწყობთ ძროხების კვებას მწვანე საკვებით. ფერმაში კი ზზირად მწვანე საკვები მემინდვრეობის ბრიგადებს დაგვიანებით და არასაკმაო რაოდენობით მოაქვთ.

პარტიულ კრებებზე არც თუ ისე იშვიათად ვლაპარაკობთ მუშაობის ნაკლოვანებებზე, გამოგვაქვს დადგენილებები. მაგრამ საქმე ნელა იძვრის წინ, რადგან პარტიული ბიურო სუსტად იბრძვის მიღებულ დადგენილებათა განხორციელებისათვის.

გავაძლიეროთ პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობა

ჭ. ყორანაშვილი, პარტბიუროს მდივანი

მშობლიურმა კომუნისტურმა პარტიამ დაგვისახა ამოცანა — უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ. ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის კოლმეურნე გლეხობა, დიცელი კოლმეურნეებიც პარტიის ამ მოწოდებას უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ. ჩვენ ვიკისრეთ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის ახალი, კონკრეტული ვალდებულებანი, რომელთა შესახებ ნათქვამი იყო მოხსენებაში.

ამ ვალდებულებათა წარმატებით განაღდება დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ მოაწყობს პარტიული ბიურო მეცხოველეობის ფერმებში პოლიტიკურ და ორგანიზატორულ მუშაობას. მართალი იყვნენ ამხანაგები, როცა ლაპარაკობდნენ, რომ მეცხოველეობის ფერმებში ცოტა კომუნისტი მუშაობს. პარტბიუროკოლმეურნეობის გამგეობასთან ერთად იზრუნებს ფერმებში სამუშაოდ კომუნისტების დამატებით გაგზავნაზე.

უნდა გავაძლიეროთ მეძროხეობის ფერმასთან შექმნილი აგიტპუნქტის მუშაობა. აგიტპუნქტი ჯერ კიდევ სუსტად ეწევა მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდას. აგიტატორები იშვიათად მართავენ საუბრებს მოწინავე მწველავთა, მეღორეთა, მეფრინველეთა მუშაობის ხერხებსა და მეთოდებზე. აქვე უნდა ვაღიარო, რომ პარტბიუროს ცოტას აწყობს ლექციებსა-მოხსენებებს ამ დიდმნიშვნელოვან თემაზე.

შევუქმნათ პირუტყვს მტკიცე საკვები ბაზა

გ. ჭეხაშვილი, პირველი ბრიგადის ხელმძღვანელი

კოლმეურნეობას ბუნებრივი სათიბები არა აქვს. ამიტომ თივის საჭირო მარაგის შესაქმნელად დიდ ფართობზე უნდა ვთესავდეთ ერთწლიან და მრავალწლიან ბალახებს. ჩვენში ჯერ კიდევ არიან ცალკეული ადამიანები, რომლებიც არ ზრუნავენ ბალახების თესვისა და მოვლის აგროტექნიკური წესების განხორციელებისათვის. გამახსენდა ასეთი ფაქტი. ამ გაზაფხულზე სატრაქტორო ბრიგადა ესპარეცეტის დასათესად ნიადაგს ამზადებდა. ტრაქტორისტი მეტად უხარისხოდ ხნავდა. როცა მას ამის შესახებ მივუთითეთ, მან გვითხრა, მეტი სიღრმე რა საჭიროა, ესპარეცეტი არ უნდა დათესოთო?

დასამალავი არ არის, რომ ჩვენც ზოგჯერ სათანადოდ ვერ ვუვლათ ბალახებს. ამიტომ მთელ ფართობზე ყველა ბრიგადა როდი იღებს ბალახის მაღალ მოსავალს.

სიმინდის ჩალა საკვები რესურსების შევსების მნიშვნელოვანი წყაროა. კოლმეურნეობაში სიმინდის მოსავლის აღებისას ჩალის დანაკარგები გვაქვს ხოლმე, რადგან გვიანობამდე — დაზამთრებამდე გვიჭიანურდება ნაკვეთებიდან ჩალის გამოზიდვა და ფერმასთან მისი მოტანა. წელს ასეთი რამ არ უნდა გამეორდეს. საჭიროა კოლმეურნეობის გამგეობამ აქედანვე იზრუნოს ჩალის შესაკონი მასალის მომარაგებისათვის.

მეღორეობას მეგი ყურადღება

ეკ. ჯალაბაძე, მეღორე

მეღორეობა ჩვენს კოლმეურნეობაში ჯერ კიდევ დაბალმემოსავლიანი დარგია. მის წამოსაწევად კოლმეურნეობის გამგეობისა და პარტბიუროს მიერ გადადგმული ნაბიჯები საკმარისი როდია. ღორის იმ სულადობისათვის, რომელიც წელს ჰყავს კოლმეურნეობას, არსებული საღორე არ აკმარებს. ეს სერიოზული ნაკლია და მის გამოსასწორებლად ამთავითვე უნდა იქნას მიღებული ზომები.

აქამდე არ არის შეძენილი ღორებისათვის ავტოსაკვებურები და ავტოსარწყულებლები. ამ საქმის მოგვარება კი გააადვილებს მეღორის შრომას და ხელს შეუწყობს მეღორეობის შემდგომ განვითარებას.

დავაჩქაროთ პირუტყვის სადგომების მშენებლობა

გ. მედოლიძე, მშენებლობის ბრიგადის ხელმძღვანელი

ჩვენმა ბრიგადამ დროზე შეაკეთა სასილოსე ნაგებობანი. ახლა მეძროხეობის ფერმაში საკვების შესამზადებელ საამქროს ვაგებთ: შევლესეთ კედლები, ვდგამთ მანქანებს. უკვე დამთავრებული გვაქვს 150 სული ხბოს ტევადობის სადგომი ბინის კედლების ამოყვანის სამუშაოები. მაგრამ აქ მეტს ვეღარაფერს ვაკეთებთ, რადგან ხე-ტყის მასალა არა გვაქვს.

არ უნდა ვიყოთ მარტო ცეკავშირის ხე-ტყის სავაჭრო ბაზის იმედით. ჩვენვე უნდა შევუდგეთ ტყეში საჭირო მასალის დამზადებას.

* * *

კრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე აგრონომი დ. ლომოური, ვეტექიმი ა. მჭედლიძე, მწველავი ქრისტინე ყორანაშვილი, აგიტპუნქტის გამგე ვ. ბოლაშვილი.

* * *

განხილული საკითხის გამო ღია პარტიულმა კრებამ მიიღო სათანადო დადგენილება. ამ დადგენილებით კოლმეურნეობის გამგეობას და პარტბიუროს დაევალათ მთელი ძალები დაარაზმონ ყოველ 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მკვეთრი გადიდებისათვის, უზრუნველყონ სილოსის ჩადების გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება, განამტკიცონ კადრებით მეცხოველეობის ფერმები, მიიღონ ზომები პირუტყვის ჯიშიანობის გაუმჯობესებისათვის.

პარტბიუროს წინადადება მიეცა გააძლიეროს მეცხოველეობის მუშაკთა შორის პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა, ფართოდ გააჩაღოს მწველავებსა და მწყემსებს შორის სოციალისტური შეჯიბრება და მიაღწიოს მის ქმედითობას, გააუმჯობესოს მოწინავე გამოცდილების პროპაგანდა და უზრუნველყოს ამ გამოცდილების პრაქტიკაში დანერგვა.

კრების მიერ დასახულ პრაქტიკულ ღონისძიებათა განხორციელება დიცელ კოლმეურნეებს დაეხმარება წარმატებით გადაწყვიტონ პარტიის მიერ დასახული ამოცანა — უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ.

ვ. შავგულიძე,
მ. ხეთაგური,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები.

წერილები ყამირიდან

„მეგობრობის აგრეგატი“

პურეულის უხვი მოსავალი მოიყვანეს წელს კუსტანაის ოლქის ოქტომბრის რაიონის მეყამირეებმა. ახლა ისინი იმისათვის იბრძვიან, რომ სახელმწიფოს ჩაბარონ 18 მილიონი ფუთი პური. მათ დასახმარებლად რაიონში უკრაინიდან, საქართველოდან, სომხეთიდან, ბელორუსიიდან, მოსკოვიდან და ლენინგრადიდან ჩამოვიდა 6.000-ზე მეტი ახალგაზრდა პატრიოტი.

ოქტომბრის რაიონის გერცენის სახელობის საბჭოთა მეურნეობაში, რომელიც ერთერთი მსხვილი მეურნეობაა ჩვენს ქვეყანაში, მთელი ძალით არის გაჩაღებული მკა. მოსავლის აღებაზე თავდადებით მუშაობენ კომბაინერები და ტრაქტორისტები. პურის ყანებში სამუშაოდ გასულია 200 კომბაინი და 250 ავტომანქანა. მეურნეობის კოლექტივმა ფართოდ გაიჩაღა სოციალისტური შეჯიბრება ლოზუნგით: „10-12 სამუშაო დღეში დავამთავროთ პურეულის აღება, სახელმწიფოს ჩავბაროთ სულ ცოტა 3 მილიონი ფუთი პური!“

ამ დიდი და პასუხსაგები ამოცანის წარმატებით გადაჭრისათვის ბრძოლაში საბჭოთა მეურნეობის კოლექტივთან ერთად აქტიურად მონაწილეობენ ყაზახეთში დასახმარებლად ჩამოსული ახალგაზრდები. ჭაბუკები და ქალიშვილები დიდი მონდომებით ასრულებენ ყოველ დავალებას: მუშაობენ კომბაინერებად და მეშტურვალეებად, ტრაქტორისტებად და ავტომძღოლებად.

პურისათვის ბრძოლაში განსაკუთრებით გაითქვა სახელი კომბაინის აგრეგატმა, რომელსაც სიყვარულით „მეგობრობის აგრეგატს“ ეძახიან. ამ სახელგანთქმულ აგრეგატზე კომბაინერია ოსი ვლადიმერ კაბესოვი, კომბაინერის თანაშემწეა სომეხი ჯივან არუთინიანი, ტრაქტორისტია ქართველი რამაზ ლომაშვილი, ხოლო დამბულულებელია ასირიელი ნიკოლოზ ბენიამინოვი. მეურნეობის მერვე ბრიგადის მინდვრებზე აგრეგატი ყოველდღიურად 25-30 ჰექტარ პურეულს მკის ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 12 ჰექტარისა.

ყამირმა წელსაც დიდად გაამართლა იმედი. სახელმწიფოს უკვე ჩაბარდა ნახევარი მილიონი ფუთი პური. ამ წარმატებაში დიდია „მეგობრობის აგრეგატის“ კოლექტივის შრომითი წვლილიც.

ნ. კოვალჩუკი,
კუსტანაის ოლქის ოქტომბრის რაიონის გერცენის სახელობის საბჭოთა მეურნეობის მრავალტირაჟიანი გაზეთის „ზნამია ტრუდას“ რედაქტორი.

* * *

სურათზე: „მეგობრობის აგრეგატის“ კოლექტივის წევრები (მარცხნიდან მარჯვნივ) — ნ. ბენიამინოვი, რ. ლომაშვილი, ვ. კაბესოვი და ჯ. არუთინიანი.

ფოტო ავტორისა.

ხელიდან უშვებენ საკვების დაგროვების საუკეთესო დროს

დადგა საზოგადოებრივი მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის პასუხსაგები პერიოდი. მოწინავე კოლმეურნეობები ხელსაყრელად იყენებენ საკვები რესურსების შევსების ყველა წყაროს, დღითიდღე აძლიერებენ თიბვისა და სილოსის ჩადების ტემპს. სოფელ გულიანის კოლმეურნეობაში 100 ცენტნერზე მეტი თივა გათიბეს და 300 ტონა საკვები დაასილოსეს. სოფელ ხიდმაღალის კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობაში უკანასკნელ 5 დღეში 100 ტონაზე მეტი საკვები დაასილოსეს. ენერგიულად მუშაობს ამ კოლმეურნეობის საკვებმოპოვების ბრიგადა, რომელსაც გამოცდილი კოლმეურნეთ. ჩხარტიშვილი ხელმძღვანელობს. წარმატებით ანაღდებენ მეცხოველეობის განვითარების, კერძოდ, საკვების დაგროვების დარგში სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს სოფელ ლესის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ლანჩხუთის რაიონში საკვების დაგროვების გეგმის შესრულება საფრთხეშია. წელს რაიონში 140 ათასი ცენტნერი თივა და 19 ათასი ტონა სილოსი უნდა დამზადდეს. ჯერჯერობით დამზადებულია მხოლოდ 130 ცენტნერი თივა და 520 ტონა სილოსი.

მთელ რიგ სასოფლო-სამეურნეო არტელებში დანაშაულებრივი უდარდელობით ეკიდებიან საკვების წარმოების დარგში მიცემულ დავალებათა შესრულებას. ლანჩხუთის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობას ყველა პირობა აქვს თიბვის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, მაგრამ გეგმით გათვალისწინებული 60 ჰექტარიდან ერთი ჰექტარიც არ გაუთიბავს. სილოსის ჩადებაც არ დაუწყიათ. კოლმეურნეობის გამგეობას (თავმჯდომარე ი. ჩხაიძე) და პარტიულ ორგანიზაციას (მდივანი დ. წულაძე) საჭირო დასკვნები არ გამოაქვთ გასული წლის მწარე გაკვეთილიდან, როცა საკვების ნაკლებობისა და მოუვლელობის გამო 81 სული პირუტყვი დაეხოცათ.

ასეთივე მდგომარეობაა ქვემო ჩიბათის ორჯონიკიძის სახელობის, ეწერის კიროვის სახელობის, სოფელ ნინოშვილის ნინოშვილის სახელობის კოლმეურნეობებში, სადაც საკვების დაგროვებაში შეუწყნარებელ უდარდელობას იჩენენ.

პირუტყვისათვის საკვების დამზადების საუკეთესო დროს ხელიდან უშვებენ ჩოჩხათის, შრომისუბნის, არჩეულის და სხვა სასოფლო-სამეურნეო არტელებში.

ბევრ სასოფლო-სამეურნეო არტელში იგრძნობა სილოსის, როგორც ყუათიანი წვნიანი საკვების, შეუფასებლობა. 31 კოლმეურნეობიდან საკვების დასილოსება დაიწყო მხოლოდ ოთხმა (აცანის, ხიდმაღალის, ღრმაღელის, გულიანის კოლმეურნეობებმა). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პალიასტომის ტბის სანაპიროებზე ასობით ჰექტარი საუკეთესო სათიბებია, მაგრამ ეს მნიშვნელოვანი რეზერვი გამოუყენებელია.

ყველაფერი რიგზე არც ლანჩხუთის მტს-შია. მექანიზატორები ქმედითად არ ეხმარებიან კოლმეურნეობებს პირუტყვისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნაში.

ბევრ სასოფლო-სამეურნეო არტელში სასილოსე ნაგებობათა მშენებლობას შეუწყნარებლად აჭიანურებენ. ეს განსაკუთრებით ითქმის ლაშისღელის, ანჩხვარეთის, ორაგვეს, ზემო ჩიბათის კოლმეურნეობებზე. ამ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს ამხ. დ. ჭანტურიშვილს, კ. გვარჯალაძეს, ა. ზეგაიშვილს, ა. ინწაძეს ავიწყდებათ, რომ სასილოსე კოშკების მშენებლობის გაჭიანურებით ისინი საფრთხეს უქმნიან საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებას.

როგორც ლანჩხუთის რაისაბჭოს აღმასკომის კოლმეურნეობებში მშენებლობის განყოფილების გამგემ ამხ. ა. მენაღარიშვილმა განაცხადა, რესპუბლიკის სამეურნეო ორგანიზაციები ცუდად ამარაგებენ კოლმეურნეობებს სამენი მასალებით. ეს შეუწყნარებელია მით უმეტეს მაშინ, როცა სასილოსე ნაგებობათა მშენებლობის სახელმწიფო დავალება რაიონში სანახევროდაც არ არის შესრულებული.

აღსანიშნავია, რომ რაიონის კოლმეურნეობებში გასულ წელს მოუვლელობის და ცუდი კვების გამო მრავალი პირუტყვი დაიხოცა. ეს წელს არ უნდა გამეორდეს. საჭიროა მაქსიმალურად გამოვიყენოთ საკვების დაგროვების ყველა წყარო.

როგორც შემოწმებით გამოირკვა, რაიონში ჯერ კიდევ ბევრია ისეთი კოლმეურნეობა, სადაც საკვებმოპოვების ბრიგადები და რგოლები არ შეუქმნიათ.

პარტიის ლანჩხუთის რაიკომმა, რაისაბჭოს აღმასკომმა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა გადაჭრით უნდა გააძლიერონ ბრძოლა საზოგადოებრივი მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის საქმეში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

გ. ჩხაიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

მოწინავე მწველავები

დუშეთის რაიონის სოფელ მაღაროსკარის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ფერმის მუშაკები ენერგიულად მუშაობენ იმისათვის, რომ ახალი წარმატებებით შეხვდნენ დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავს.

კოლმეურნეობას ჰყავს ადგილობრივი ჯიშის 140 სული ძროხა, რომელთაგან თვითეულზე შვიდ თვეში მიღებულია 928 კილოგრამი რძე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 685 კილოგრამისა.

რძის წარმოების გადიდებისათვის ბრძოლაში დაწინაურდნენ კომკავშირელები მ. ალუდაური, ნ. კაკაბლიშვილი, ნ. მგელიაშვილი, ე. მახაური, მ. ხადიაშვილი და მ. მჭედლური, რომელთა ფოტოსურათები ამშვენებს რაიონის მოწინავეთა საპატიო დაფას. მოწინავე მწველავები პირობას იძლევიან, რომ წლის ბოლოსათვის თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიიღებენ 1.200 კილოგრამ რძეს.

ა. ხუციურაული,
მაღაროსკარის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

სამრეწველო წარმოების განუწყვეტელი ზრდა საბჭოთა კავშირში

პროპაგანდისტებისა და აგიტატორების დახმარებლად

საბჭოთა ხელისუფლების 40 წლის მასალებზე

მეფის რუსეთს ულეველი ბუნებრივი რესურსები ჰქონდა, მაგრამ ისინი ხალხის საკეთილდღეოდ არ იყო გამოყენებული. მრეწველობის მხრივ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს რუსეთი საგრძნობლად ჩამორჩებოდა. მაგალითად, სამრეწველო წარმოების მოცულობის მხრივ რუსეთი ამერიკის შეერთებულ შტატებს ჩამორჩებოდა 14,5-ჯერ, ინგლისს — 4,5-ჯერ, გერმანიას — 5,9-ჯერ და ა. შ. მისი წილი მსოფლიო სამრეწველო წარმოებაში 1913 წელს მხოლოდ 2,6 პროცენტს შეადგენდა. მრეწველობის ზოგიერთ დარგში რუსეთს წინ უსწრებდნენ ისეთი პატარა ქვეყნებიც კი, როგორიც არიან ბელგია, შვეიცარია, შვეცია და სხვ.

მრეწველობის შედარებით განვითარებული დარგებიც უმთავრესად უცხოელების ხელში იყო. მაგალითად, უცხოელ კაპიტალისტებს ეკუთვნოდათ რუსეთის შავი მეტალურგიის 72 პროცენტი, დონბასის ქვანახშირის 70 პროცენტი, მარგანეცისა 87 პროცენტი, სპილენძის წარმოების 61 პროცენტი, ნავთობის მრეწველობის 60 პროცენტი, ელექტროტექნიკური მრეწველობისა და ელექტროსადგურების 90 პროცენტი. უცხოელი კაპიტალისტი მტაცებლები, უსაზღვრო ექსპლოატაციას უწევდნენ რა მშრომელებს, მდიდრდებოდნენ და დიდ მოგებას იღებდნენ.

რუსეთს საზღვარგარეთიდან შემოჰქონდა არამარტო მანქანები და მოწყობილობა, არამედ ნამგლები, ცელები და ნემსებიც კი.

მთელი მრეწველობის საერთო პროდუქციაში წარმოების საშუალებათა წარმოება შეადგენდა 33,3 პროცენტს, ხოლო მოხმარების საგნების წარმოება — 66,7 პროცენტს.

მრეწველობის განვითარების მხრივ კიდევ უფრო ჩამორჩენილი იყო მეფის რუსეთის განაპირა ქვეყნები — კავკასია, შუა აზია, ბალტიისპირეთი. მეფის რუსეთი იქ ახშობდა და ხელს უშლიდა მრეწველობის განვითარებას.

რუსეთის მრეწველობამ დიდი ნგრევა, დაცემა და დაქვეითება განიცადა ჯერ პირველი იმპერიალისტური ომის, ხოლო შემდეგ სამოქალაქო ომის შედეგად, რომლებმაც კიდევ უფრო გაალრმავა ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ჩამორჩენილობა.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ კომუნისტურმა პარტიამ დასახა ამოცანა ბოლო მოღებოდა მეფის რუსეთისაგან მემკვიდრეობით მიღებულ ეკონომიურ ჩამორჩენილობას, განხორციელებულიყო ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია. პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით, საბჭოთა ხალხის დაუღალავი შემოქმედებითი შრომის შედეგად სამ ხუთწლედზე ნაკლებ დროში ჩვენს ქვეყანაში განხორციელდა სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია, რაც დიდი, მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვება იყო. მაგალითად, ინდუსტრიალიზაციისათვის უძველეს კაპიტალისტურ ქვეყანას — ინგლისს დასჭირდა სულ მცირე ორასი წელი, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებს — თითქმის ერთი საუკუნე.

საბჭოთა კავშირში შეიქმნა მძიმე მრეწველობის ისეთი მნიშვნელოვანი დარგები, როგორიც არის მეტალურგიული, ჩარხმშენებელი, სატრაქტორო, საავტომობილო მრეწველობა, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა, ელექტროტექნიკური, ქიმიური, საავიაციო მრეწველობა და სხვ.

ამჟამად ჩვენში სამრეწველო წარმოების დაახლოებით 300 დარგია, მაშინ როცა მეფის რუსეთში სულ 190 დარგი იყო.

სსრ კავშირის ინდუსტრიალიზაციის განხორციელების შედეგად შეიქმნა უაღრესად განვითარებული სამხედრო მრეწველობა, რომელიც ყოველთვის უახლესი ტექნიკით აღჭურავს საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შრომის სადარაჯოზე მდგომ ჩვენს შეიარაღებულ ძალებს.

უკვე მეორე მსოფლიო ომამდელ პერიოდში მრეწველობის განვითარების ტემპებს მხრივ საბჭოთა კავშირმა უკან მოიტოვა ყველა განვითარებული კაპიტალისტური ქვეყანა და მსოფლიოში პირველი ადგილი დაიკავა. ჩვენში მრეწველობა 5-7-ჯერ უფრო სწრაფად ვითარდება, ვიდრე მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებში. უკანასკნელ 26 წელიწადში (1929-1955) მრეწველობის პროდუქციის მატების საშუალო წლიური ტემპი შეადგენდა საბჭოთა კავშირში — 12,3 პროცენტს, ამერიკის შეერთებულ შტატებში — 3,3 პროცენტს, ინგლისში — 2,4 პროცენტს, საფრანგეთში — 0,9 პროცენტს. ომის წლების გამოკლებით, ე. ი. 20 წლის განმავლობაში, იგი შეადგენდა სსრ კავშირში — 18 პროცენტს, ინგლისში — 3,5, ამერიკის შეერთებულ შტატებში — 2,8 პროცენტს, საფრანგეთში — 2,5 პროცენტს.

ჩვენი მრეწველობის მძლავრ განვითარებაზე ნათლად მეტყველებს შემდეგი ფაქტი: ჩვენში რევოლუციამდელ პერიოდთან შედარებით სამრეწველო პროდუქციის მოცულობა 1957 წლისათვის გადიდდა 30-ჯერ და უფრო მეტად, ხოლო მძიმე ინდუსტრია — 50-ჯერ და უფრო მეტად, მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება — 180-ჯერ, ელექტროენერგიის წარმოება თითქმის 100-ჯერ და ა. შ.

საბჭოთა კავშირმა სამრეწველო წარმოების დონის მხრივ ბევრ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყანას გაუსწრო და ევროპაში პირველი ადგილი დაიკავა, ხოლო მეორე ადგილზეა მსოფლიოში. ამ მხრივ წინ არიან მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატები.

მეორე მსოფლიო ომმა დიდად შეაფერხა ჩვენი მრეწველობის განვითარება, მაგრამ მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობის გამო, საბჭოთა კავშირის ხალხების თავდადებული შრომის შედეგად, იგი მოკლე დროში იქნა აღდგენილი და მნიშვნელოვნად გადააჭარბა ომამდელ დონეს. 1947 წლისათვის საბჭოთა კავშირის მრეწველობამ მიაღწია ომამდელ დონეს, ხოლო შემდეგ წლებში დიდად გადააჭარბა 1940 წლის დონეს. მრეწველობის განვითარების ტემპები ომისშემდგომ ხუთწლედებში გაცილებით უფრო სწრაფი იყო, ვიდრე წინათ.

მეექვსე ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს ჩვენი მრეწველობის ყველა დარგის შემდგომ მძლავრ განვითარებას. ახლა ყოველ 9 დღეში საბჭოთა კავშირში იმდენი სამრეწველო პროდუქცია გამოდის, რამდენსაც მეფის რუსეთი მთელი წლის განმავლობაში უშვებდა.

მძლავრად განვითარდა მრეწველობა მოკავშირე რესპუბლიკებში. 1913 წელთან შედარებით უზბეკეთის სსრ ტერიტორიაზე არსებული მთელი მრეწველობის საერთო პროდუქცია 1955 წელს გაიზარდა 33-ჯერ, საქართველოს სს რესპუბლიკაში — 27-ჯერ, ყირგიზეთის სს რესპუბლიკაში — 37-ჯერ, სომხეთის სს რესპუბლიკაში — 41-ჯერ, ტაჯიკეთის სს რესპუბლიკაში 24-ჯერ და ა. შ. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წლებში შეიქმნა მძიმე მრეწველობა ისეთი დარგებით, რომლებზეც წინათ ოცნებაც არ შეიძლებოდა. ახლა ჩვენი რესპუბლიკა თუჯის, ფოლადის, ნაგლინის წარმოებაში წინ უსწრებს ევროპის მთელ რიგ ქვეყნებს.

მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნა, რაც მიმდინარე წელს საბჭოთა კავშირში განხორციელდა, კიდევ უფრო დაჩქარებს ჩვენი სოციალისტური მრეწველობის განვითარების ტემპებს, კიდევ უფრო მძლავრსა და უძლეველს გახდის ჩვენს სამშობლოს.



სამრეწველო პროდუქციის ზრდა სსრ კავშირში და კაპიტალისტურ ქვეყნებში (პროცენტებით 1929 წელთან შედარებით).

წერილები რედაქციას

განა ეს კულტურის სახლია?

აფენი დიდი სოფელია ლაგოდეხის რაიონში. აქ მრავალია სპორტის მოყვარული, განთქმული მომღერალი, მოცეკვავე. ბუნებრივია, კულტურულ-მასობრივი მუშაობის წარმართვა სრულიად არ წარმოადგენს, მაგრამ ასე როდია. შარშან საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ აფენელთა წინაშე თავის ვალი იმით მოიხადა, რომ დაამტკიცა კულტურის სახლი. შემდეგ კი აღარ დაინტერესებულა, რა კეთდება იქ.

გასული წლის აგვისტოდან აფენის კულტურის სახლის დირექტორი პ. გოგოლაძე გულხელდაკრეფილი შესცქეროდა კულტურის სახლის შენობას. ყოფილი სასოფლო კლუბის კედლები დამპალია, სახურავი მორღვეულია. ფანჯრები და კარები ფიცრებით არის ამოქოლილი. წვიმისა და ქარისაგან ირღვევა კედლები. სასოფლო საბჭოს აღმასკომი თავს არ იწუხებს ასეთი მდგომარეობის გამო.

რაიონის კულტურის განყოფილებამ „სასწრაფო ზომები" მიიღო—შეადგინა აქტი და სასტიკად აუკრძალა კულტსახლს რაიმე ღონისძიების განხორციელება. ამით დამთავრდა ყველაფერი... კულტსახლთან წრეები მხოლოდ ფორმალურად არსებობენ.

კულტურულ-მასობრივი მუშაობის ჩაშლაში მარტო კულტურის მუშაკებს როდი მიუძღვით ბრალი. სასოფლო საბჭოს აღმასკომს ერთხელაც არ გახსენებია აღმასკომის სხდომაზე განეხილა სოფელში კულტურულ-მასობრივი მუშაობის საკითხი, მოესმინა კულტურის სახლის დირექტორის ანგარიში, დაესახა სათანადო ღონისძიება.

საჭიროა ყოველივე აქედან დასკვნები გააკეთონ რაისაბჭოს აღმასკომმა და მისმა კულტურის განყოფილებამ.

ი. ფერაძე,
ლაგოდეხის რაიონის სოფელ აფენის საშუალო სკოლის მასწავლებელი.

მეშახტეებს უნდა ჰქონდეთ კინოთეატრი

ქვანახშირის ამოღების ფრონტზე წარმატებების მოპოვებასთან ერთად დღითიდღე იზრდება ტყიბულელ მეშახტეთა კულტურულ-მოთხოვნილებები. მათ განსაკუთრებით სურთ ჰქონდეთ კეთილმოწყობილი კინოთეატრი.

მისი მშენებლობის საკითხი მეშახტეებმა არაერთხელ დააყენეს: მრავალჯერ დაიწერა ამის შესახებ პრესაშიც, მაგრამ პრაქტიკულად არაფერი გაკეთებულა.

საინტერესოა, როდის გვექნება მეშახტეებს კინოთეატრი?

შ. კვანტალიანი,
სამთო ინჟინერი,

ო. უკლება,
სამთო ინჟინერ-გეოლოგი.

გალაკტიონ ტაბიძე

ოქტომბრის წიგნი

სადაც არ უნდა ვიქნეთ —
გინდ აქ, გინდ ცხრა მთას იქით,
ვიდგეთ გარეთ და შიგნით
მხოლოდ ოქტომბრის წიგნით.

წარსულს რა ჰქონდა ქუში,
რანი ვიყავით გუშინ,
ჩავწვდეთ სულში და გულში —
მხოლოდ ოქტომბრის წიგნით!

როგორ დავძლიეთ დაღლა,
კიდევ რანი ვართ ახლა?!
და ვიწევთ მაღლა, მაღლა
მხოლოდ ოქტომბრის წიგნით!

გვქონდეს სიმტკიცე რვალის,
წინ მზე გვინათებს ხვალის,
შევხვდეთ მომავლის ხალისს
მხოლოდ ოქტომბრის წიგნით!

სადაც არ უნდა ვიქნეთ —
გინდ აქ, გინდ ცხრა მთას იქით,
ვიდგეთ გარეთ და შიგნით
მხოლოდ ოქტომბრის წიგნით!

თებერვლის შემდეგ

ჩვენ გავიარეთ
შინდარი, ტბეთი —
მუხამდე, სადაც
კეხვის არხია.
რამ ააყვავა
სამხრეთ ოსეთი,
დიდი ხნის ძილი
რამ შეარხია?
მე მახსოვს გვალვა
სიცხე ზნაურის,
მზის მხურვალებით
დამსკდარი მიწა.
ახლა აქ ახალ
ზათქით, ხმაურით
არხში მდინარემ
გამოიღვიძა.
სულ მაღლა მთებში
კელვის ტბა არის,
ვიყავ მსურველი
ადგილთა ნახვის,
იმ ტბიდან მოდის
სისწრაფე ქარის,
იმ ტბიდან სწყდება
ზვირთი ლიახვის.
იმ ტბიდან აბა
როგორ არ შვენის
ელსადგურების
მზეთა ნათება,
იმ კვერნეთისა
და თამარშენის
ქების თქმა ძალს
აღემატება!
მაინც ვინ არის
ამ სამ წყაროსი —
ნედლათის, ტიგვის
და ტბეთის გმირი?
ვინ გამოცვალა
კელვის ტაროსი,
იმ ნაბაკევის,
ვარვარი მწირი?

ვინ აღძრა ენა
დაგროვილ ხე-ტყის
და დაყრუება
ვინ შესძრა გრომის?
ძსგავს შედარებას
აბა ვინ მეტყვის,
რასაც იძლევა
დღე ნათელ შრომის?
გზა ვინ გაჰკვეთა
ძაუ-სუარის,
აკადემიის
ვის მისწვდა შუქი?
ძსგავსი მშვენება
სადმე თუ არის,
მთებს რომ ლეჩაქი
ბურავს მსუბუქი?
ვინ იცის ბუდე
უხვი მარაგის,
სად ბინად დადგნენ
უბინადრონნი?
სოფლის, ქალაქის
და აგარაკის
ახლა ვინ არის
ბატონ-პატრონი?
ვინ არის, რომ მზედ
აქცია თალხი,
ვინ არის ნისლი
რომ გაარღვია?
— ხალხი, მარადის
უკვდავი ხალხი!
ყოვლის შემქმნელი
მხოლოდ ხალხია!
მის ძლიერებას
ვერ გარდამოხსნის
ამაოება
დროებათ ტალღის,
ყოველი სიტყვაც
მგზნებარე მგოსნის
ეს არის სიტყვა
მგზნებარე ხალხის.

• • •

ყველაფერი
შეიძლება მოხდეს:
მთა მთას შეხვდეს,
მზე მთის იქით მოხვდეს,
ვარდი დაჭკნეს,
როს ბულბული მოსხლტეს,
ყველაფერი
შეიძლება მოხდეს.

შეიძლება,
როს დაბნელდეს არე,
ხევებს იქით
გადაქანდეს მთვარე,
შეიცვალოს
ვარსკვლავების არე —
ყველაფერი
შეიძლება მოხდეს!..

სამშობლოს წინ
ყოველ ვალთა მოხდილს,
ოქტომბრის წიგნს
გვირგვინს ვერვინ მოხდის.
ოქტომბრის გზა
რომ ოდესმე მოკვდეს —
არა, ეს არ
შეიძლება მოხდეს.

ლექსების რკალიდან „ჩემო კარგო, ქვეყანავ".

საიუბილეო ვაზები და თასები

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სახელსნონ, რომელიც მხატვრულ ვაზებს ამზადებს, შეუდგა საიუბილეო ვაზებისა და თასების გამოშვებას დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისათვის.

სახელსნოს მხატვარმა ს. შილაკაძემ გააკეთა ახალი დიდი ვაზა. მისი სიმაღლე 80 სანტიმეტრია. ვაზის ცენტრში გამოსახულია ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს ფუძემდებლის ვ. ი. ლენინის ბარელიეფი. ზემოთ მოთავსებულია საბჭოთა კავშირის გერბი რომლის გვერდებზე წარწერილია ციფრები 1917 და 1957. ქვემოთ არის ციფრი 40, რომელშიც ჩახატულია 15 მოკავშირე რესპუბლიკის გერბები. მარცხნივ გამოხატულია იერიში ზამთრის სასახლეზე, მარჯვნივ — მონტაჟი ხალხთა მეგობრობის თემაზე. ყველა კომპოზიცია ფერადია. ვაზა დამზადებულია თერმოგამძლე მიწისაგან.

ვაზების გარდა მხატვარ ს. შილაკაძის ხელმძღვანელობით გაკეთებულია მხატვრულად გაფორმებული საიუბილეო თასები თემაზე — დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავი.

• • •

სურათებზე: მხატვარი ს. შილაკაძე მუშაობს საიუბილეო ვაზის პირველ ეგზემპლარზე; საიუბილეო თასები, რომლებსაც დღესასწაულისათვის გამოუშვებენ.

ტექსტი და ფოტო ვ. გინზბურგისა.

საგჯოთა მშენებლობა

სასოფლო საბჭო პასუხსაგებ ამოცანათა განხორციელებისათვის ბრძოლაში

სკკპ XX ყრილობის მიერ დასახული სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დიდმნიშვნელოვანი ამოცანების განხორციელება სასოფლო საბჭოებისაგან მოითხოვს შემდგომ სრულყონ ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა, დარაზმონ მშრომელთა ფართო მასები. მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დადგენილებათა წარმატებით შესრულებისათვის საბრძოლველად.

ზესტაფონის რაიონის მეორე სვირის სასოფლო საბჭომ არჩევნების შემდეგ ახლებურად გაშალა მუშაობა. საბჭოს მუშაობაში ჩაბმულია ყველა დეპუტატი, მათი მეშვეობით საბჭო მჭიდროდ არის დაკავშირებული ფართო აქტივთან, მშრომელებთან; აღმასკომის სხდომებზე და საბჭოს სესიებზე სისტემატურად განვიხილავთ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის აქტუალურ საკითხებს, მათ მომზადებაში მონაწილეობენ აღმასკომის წევრები, სასოფლო საბჭოს დეპუტატები, სოფლის მეურნეობის მოწინავენი.

მიმდინარე წლის 25-29 მაისს აღმასკომმა დეპუტატების და აქტივის მონაწილეობით შეამოწმა სასოფლო საბჭოში შემავალ კოლმეურნეობებში საგაზაფხულო სამუშაოთა მიმდინარეობა და საკითხი განსახილველად სასოფლო საბჭოს სესიაზე შეიტანა. სესიაზე მხილებულ იქნა ნაკლოვანებანი და დარღვევები, დაისახა მათი გამოსწორების ღონისძიებანი. დეპუტატები და აქტივი დაირაზმნენ ამ ღონისძიებათა განსახორციელებლად. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაცია, ამაღლდა შრომის დისციპლინა, აღმოიფხვრა აგროტექნიკურ ღონისძიებათა დარღვევის შემთხვევები, გაუმჯობესდა შესრულებული სამუშაოს ხარისხი.

განხორციელებულმა ღონისძიებებმა კარგი შედეგები გამოიღო. წელს მეორესვირელი კოლმეურნეები საშუალოდ ჰექტარზე 70 ცენტნერ ყურძენს და 20 ცენტნერ სიმინდს მოელიან, რაც ბევრად გადააჭარბებს საგეგმო და გასული წლის მაჩვენებლებს.

განსაკუთრებით ნაყოფიერი მუშაობა გასწიეს სოფელ მეორე სვირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში მომუშავე სასოფლო საბჭოს დეპუტატებმა ლ. ჯუღელმა (კოლმეურნეობის თავმჯდომარე), ე. ჯუღელმა (აგრონომი), გ. ჯუღელმა (მერგოლური), შურა ცხადაძემ, სიმონ ბოჭორიშვილმა, ოლია ხიდაშელმა (კოლმეურნეები) და სხვებმა. ისინი ყოველდღიურად ეწევიან კოლმეურნეთა შორის მასობრივ-აღმზრდელობითს მუშაობას და თავიანთი პირადი მაგალითით აღაფრთოვანებენ საკოლმეურნეო სოფლის მშრომელებს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის. აქ აგროტექნიკურ ღონისძიებათა გატარების გაუმჯობესების შედეგად ვენახეს და სიმინდის ნათესებს კარგი პირი უჩანს. საშუალოდ ჰექტარზე სულ ცოტა 80 ცენტნერი ყურძნის მიღებას ვარაუდობენ ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 60 ცენტნერისა.

მიმდინარე წლის 23 აპრილს სასოფლო საბჭოს აღმასკომმა განიხილა სოფელ მეორე სვირის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში მეცხოველეობის პროდუქტიულობის გეგმის შესრულების მიმდინარეობა. აღინიშნა, რომ ძროხების მოვლის, კვების და შენახვის გაუარესების შედეგად გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით საგრძნობლად იყო შემცირებული წველადობა. ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად აღმასკომმა საქმიანი ღონისძიებები დასახა და მისი შესრულების შემოწმება აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეს აგრონომ მ. ბოჭოიძეს მიანდო. შემოწმების შედეგად გამოირკვა, რომ ძროხების მოვლა და კვება შესამჩნევად იყო გაუმჯობესებული, მაგრამ იყო ზოოტექნიკური წესების დარღვევის შემთხვევები. ამის გამო აღნიშნული საკითხი კვლავ აღმასკომის მსჯელობის საგნად გავხადეთ. მიღებულ გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად დეპუტატებმა ტ. წაქაძემ და დ. წაქაძემ მეცხოველეთა შორის გაშალეს კულტურულ-მასობრივი მუშაობა, ისინი დაეხმარნენ მათ შრომის ორგანიზაციის მოწესრიგებაში და ზოოტექნიკურ ღონისძიებათა ზუსტად გატარებაში. ასეთმა ორგანიზატორულმა მუშაობამ თავისი შედეგი გამოიღო. კოლმეურნეობამ წველადობის ნახევარი წლის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. კოლმეურნეთა ახალი შრომითი აქტივობა გამოიწვია პარტიის მოწოდებამ — დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ. კოლმეურნეებმა შემოქმედებითი მუშაობა გააჩაღეს და წარმატებით იბრძვიან, რათა მიიღონ 34 ცენტნერი ხორცი და 180 ცენტნერი რძე ყოველ 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე, 36 ცენტნერი ღორის ხორცი 100 ჰექტარ სახნავზე.

სისტემატურად ეწყობა დეპუტატების შეხვედრები ამომრჩევლებთან. ამ შეხვედრებზე ამომრჩევლებმა მრავალი საყურადღებო წინადადება და კრიტიკული შენიშვნა წამოაყენეს. სასოფლო საბჭოს აღმასკომი ყურადღებით ეკიდება ამომრჩეველთა სურვილებს და ცდილობს განახორციელოს მათი წინადადებები.

სასოფლო საბჭოს დეპუტატმა ქსენია ცხადაძემ ამომრჩეველთა მოთხოვნით დააყენა საკითხი სოფელ მეორე სვირის საშუალო სკოლის ახალი შენობის აგების შესახებ. ამ ინიციატივას მხარი დაუჭირეს სასოფლო საბჭოს აღმასკომმა, პარტიის რაიკომმა, რაიაღმასკომმა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, რის შედეგადაც დაიწყო სკოლის სამსართულიანი შენობის აგება, რომელზეც 1.8 მილიონი მანეთი დაიხარჯება. მშენებლობა წარმატებით მიმდინარეობს და ამ დღეებში მთლიანად დამთავრდება.

ამომრჩეველთა მოთხოვნით 15 საწოლით გაფართოვდა სოფლის საავადმყოფო, იქ მოეწყო რენტგენის, ფიზიოთერაპიული და გინეკოლოგიური განყოფილებები. მთლიანად იქნა რადიოფიცირებული და ელექტროფიცირებული კოლმეურნეთა ოჯახები, დაიწყო სასოფლო კლუბის მშენებლობა, რომელიც მიმდინარე წლის ბოლომდე დამთავრდება. სოფლის ცენტრში გაიხსნა აფთიაქი, აიგო ელექტროწისქვილი, მიმდინარეობს სადგურ სვირის საკოლმეურნეო ბაზრის კეთილმოწყობა და სხვ.

ორგანიზაციულ-მასობრივ მუშაობაში გვაქვს ნაკლოვანებებიც. საკმაო ყურადღება არ ექცევა აღმასკომის და სესიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებას, რის გამო მიღებულ გადაწყვეტილებათა ზოგიერთი მუხლი შეუსრულებელი რჩება.

სუსტად მუშაობენ საბიუჯეტო (თავმჯდომარე დ. წაქაძე) და განმთელობის დაცვის (თავმჯდომარე ა. ხვედელიძე) მუდმივი კომისიები. ჯერ კიდევ ყველა დეპუტატი არ არის საკოლმეურნეო შრომის ავანგარდში, სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება სოფლის კლუბების და ბიბლიოთეკების მუშაობა.

სასოფლო საბჭოს აღმასკომი ქმედითს ღონისძიებებს ახორციელებს აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად და დღითიდღე აძლიერებს პრძოლას სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში სასოფლო საბჭოს წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის.

დ. მერკვილაძე,
ზესტაფონის რაიონის მეორე სვირის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტის სხდომაზე

ლონდონი, 29 აგვისტო. (საკდესი). დღეს შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და კანადის წარმომადგენლებმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტის განსახილველად შეიტანეს „მუშა დოკუმენტი“ განიარაღების ნაწილობრივ ღონისძიებათა საკითხზე. ამ ვრცელ დოკუმენტში ერთად არის თავმოყრილი დასავლეთის სახელმწიფოთა წინადადებანი, რომლებიც მათ სხვადასხვა დროს შეუტანიათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტში.

დასავლეთის სახელმწიფოთა წინადადებანი ნაწილობრივი განიარაღების ღონისძიებათა შესახებ ითვალისწინებენ, რომ პირველ სტადიაზე შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალები შემცირდეს 2,5 მილიონ კაცამდე, ინგლისისა და საფრანგეთისა — 750 ათას კაცამდე. დასავლეთის სახელმწიფოები შეიარაღებული ძალების შემდგომ შემცირებას 2,1 მილიონ და შემდეგ 1,7 მილიონამდე საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატებისათვის, 700 ათასამდე, ხოლო შემდეგ 650 ათასამდე ინგლისისა და საფრანგეთისათვის კვლავ განაპირობებენ „პოლიტიკურ საკითხთა გადაჭრაში პროგრესის“ მიღწევით.

დასავლეთის სახელმწიფოები კვლავ გვერდს უვლიან სამხედრო ხარჯების შემცირების საკითხს და მას ცვლიან „სამხედრო ბიუჯეტებისა და ხარჯების შესახებ“ ინფორმაციის შეგროვებით.

„მუშა დოკუმენტი“ ფაქტიურად კვლავ დასტურებს, რომ დასავლეთის სახელმწიფოებს არა სურთ აკრძალონ ატომგულის იარაღის გამოყენება, რამდენადაც გათვალისწინებულია ამ იარაღის გამოყენება „ინდივიდუალური ან კოლექტიური თავდაცვის“ საშუალებად.

ისევე როგორც წინათ, დასავლეთის სახელმწიფოები დაჟინებით მოითხოვენ, რომ ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტა დაიწყოს მხოლოდ მაშინ, როცა „ძალაში“ შევა შეთანხმება განიარაღების ნაწილობრივ ღონისძიებათა შესახებ, თუმცა, როგორც ცნობილია, ამ ნაწილობრივი შეთანხმების ყველა საკითხზე ჯერ კიდევ არ არის მიღწეული თანხმობა ქვეკომიტეტში.

უარს ამბობენ რა ატომგულის იარაღის გამოყენების აკრძალვაზე, დასავლეთის სახელმწიფოები ხლეჩადი მასალების წარმოების შეწყვეტის საკითხს განიხილავენ, როგორც იზოლირებულ ღონისძიებას ატომური იარაღის აუკრძალავად, სახელმწიფოთა შეიარაღებიდან მის ამოუღებლად. ამასთან, ისევე როგორც წინათ, „მუშა დოკუმენტი“ არ ითვალისწინებს იმას, რომ აიკრძალოს ატომგულის იარაღის წარმოება ხლეჩადი მასალების უკვე არსებული მარაგიდან.

დასავლეთის სახელმწიფოთა წინადადებანი აეროფოტოგადაღების საშუალებით უეცარი თავდასხმის თავიდან აცილების საკითხზე ფაქტიურად გულისხმობენ სადაზვერვო ინფორმაციის შეგროვების საშუალებათა უზრუნველყოფას. მოითხოვენ რა, რომ ინსპექციისათვის გაიხსნას საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების ტერიტორია, დასავლეთის სახელმწიფოები ინსპექციის გარეშე ტოვებენ შეერთებული შტატების სამხედრო ბაზებს სხვის ტერიტორიებზე, სადაც, როგორც ცნობილია, თავმოყრილია დიდი სამხედრო ძალები, რომლებიც შეიძლება გამოიყენონ უეცარი თავდასხმის მოსაწყობად.

წარმოადგინეს რა ამრიგად თავიანთი წინანდელი წინადადებანი, რომელთაც სრულიადაც არ აღმოუფხვრიათ სიძნელეები განიარაღების შესახებ შეთანხმების გზაზე, დასავლეთის სახელმწიფოებმა დღეს ამ ღონისძიებებში კიდევ ერთი წინადადება შეიტანეს. „მუშა დოკუმენტი“ ითვალისწინებს დაიდოს კონვენცია იმის შესახებ, რომ შეიქმნას „ტექნიკური კომიტეტი, რომელიც შეისწავლის ინსპექციის სისტემის ხასიათს, სისტემისა, რომლითაც გარანტირებული იქნება, რომ საგნების გაშვება კოსმიურ სივრცეში მოხდება მხოლოდ და მხოლოდ სამშვიდობო და მეცნიერული მიზნით“.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების არჩევნების შედეგები

ფხენიანი, 29 აგვისტო. (საკდესი). დღეს გამოქვეყნდა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის ცნობა; არჩევნები გაიმართა ამა წლის 27 აგვისტოს. ცნობაში ნათქვამია, რომ 215-ვე საარჩევნო ოლქში არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა სიებში რეგისტრირებული ყველა ამომრჩევლის 99,99 პროცენტმა. კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 99,92 პროცენტმა ხმა მისცა დეპუტატობის კანდიდატებს, რომლებიც რეგისტრირებული არიან თვითეული საარჩევნო ოლქის საარჩევნო კომისიაში.

ცენტრალური საარჩევნო კომისია იუწყება, რომ არჩევნები მოხდა არჩევნების დებულების ზუსტი შესაბამისობით.

დღეს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ნამ ირმა მოიწვია პრეს-კონფერენცია, რომელსაც დაესწრნენ მოძმე ქვეყნების ელჩები და დროებითი საქმეთა რწმუნებულები, აგრეთვე უცხოელი ჟურნალისტები. ნამ ირმა შეკრებილთ აცნობა სახალხო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნების შედეგები.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა აღნიშნა, რომ კორეელი ხალხი არჩევნებს შეხვდა როგორც ყველაზე სახელოვან დღესასწაულს მაღალი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში. 215-ვე საარჩევნო ოლქში არჩევნები წარმატებით მოხდა, არჩევნების დებულების ზუსტი შესაბამისობით. არჩეულია 215-ვე კანდიდატი.

ამ არჩევნებმა, თქვა შემდეგ ნამ ირმა, კვლავ ცხადყო უფრო განმტკიცებული პოლიტიკური და იდეოლოგიური ერთიანობა ჩვენი ხალხისა, რომელიც აღდგა საბრძოლველად საშშობლოს მშვიდობიანი გაერთიანების დიდი საქმისათვის და კორეის ჩრდილოეთ ნაწილში სოციალიზმის მშენებლობისათვის, აგრეთვე ცხადყო, რომ ჩვენი ხალხი სავსებით უჭერს მხარს შრომის პარტიისა და რესპუბლიკის მთავრობის პოლიტიკას.

უნგრელ ლტოლვილთა გაჭირვებული მდგომარეობა

ბუდაპეშტი, 29 აგვისტო. (საკდესი). დღეს უნგრეთის სამამულო სახალხო ფრონტის პრეზიდიუმმა უნგრელი და უცხოელი ჟურნალისტებისათვის მოაწყო პრეს-კონფერენცია იმ პირთა მონაწილეობით, რომლებიც კონტრრევოლუციის პერიოდში გაიქცნენ დასავლეთში და უკანასკნელ დროს სამშობლოში დაბრუნდნენ.

სამამულო სახალხო ფრონტის პრეზიდიუმის სახელით პრესის წარმომადგენლებს მიმართა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო კრების დეპუტატმა არპად საკაშიმმა. მან განაცხადა, რომ დაახლოებით 177.000 უნგრელთაგან, რომლებმაც უნგრეთი დატოვეს, დღემდე სამშობლოში დაბრუნდა დაახლოებით 26.000 კაცი.

დაბრუნებულთა რიცხვი. ხაზგასმით აღნიშნა არპად საკაშიმმა, ბევრად უფრო მეტი იქნებოდა, დასავლეთის ხელისუფალნი მუქარით, დაშინებით და სხვა უღირსი მეთოდებით რომ არ უშლიდნენ ხელს ყველა იმათ, ვისაც ამჟამად შინ დაბრუნება სურს.

განსაკუთრებით აღმაშფოთებელია, განაგრძო მან, რომ დღემდე დასავლეთის ხელისუფალნი აკავებენ მრავალ არასრულწლოვან უნგრელ მოქალაქეს, რომლებიც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მიჩნეულ იქნან პოლიტიკურ ლტოლვილებად.

გააცნო რა ჟურნალისტებს ნამდვილი მდგომარეობა, რომელშიც უნგრელ ლტოლვილთა უმრავლესობა იმყოფება, ა. საკაშიჩმა განაცხადა, რომ დასავლეთ გერმანიაში, მაგალითად, 12.000 უნგრელადან დღემდე სამუშაოზე, უმთავრესად შახტებში, მოეწყო ლტოლვილთა მხოლოდ ნახევარი. საფრანგეთში დღემდე იმყოფება ბანაკებში ლტოლვილთა 20 პროცენტი, ხოლო შვეიცარიაში — ნახევარზე მეტი. უკეთესი როდია, აღნიშნა მან, ლტოლვილთა მდგომარეობა ავსტრიაში, ინგლისში, კანადასა და სხვა ქვეყნებში.

პრეს-კონფერენციის დასასრულს რამდენიმე ყოფილმა ლტოლვილმა ილაპარაკა თავიანთ ხელიალზე დასავლეთის ქვეყნებში და გაჭირვებაზე, რასაც განიცდის იმ უნგრელთა უმეტესობა, რომლებმაც სამშობლო დატოვეს.

ზოოპარკის ვეტერინარულ ამბულატორიაში

თბილისის ზოოპარკის ბინადარი თეთრი დათვები „ბარენცი“ და „პოლიარნაია“ დიდი ხანია ცხოვრობენ ტყვეობაში. ოცდასამი წლის წინათ, დაბადების რამდენიმე თვის შემდეგ, ისინი ჩამოიყვანეს ერთი — მოსკოვის, ხოლო მეორე — ლენინგრადის ზოოპარკიდან.

თავდაპირველად ბელებმა მოიწყინეს, მაგრამ დრომ თავისი გაიტანა და დათუნები შესანიშნავად შეეგუენ ცხოვრების ახალ პირობებს. მათ თბილისში გაატარეს „ბავშვობის“ წლები, დაიზარდნენ და სიბერეშიც კი გადადგეს ფეხი.

ოცდახუთფუთიანი „ბარენცი“ ხშირად ყალყზე დგება, მთელი ტანით აღმართული თათებს ხარიხს მიაბჯენს, თავს უკან გადაწევს, ხმაურით შეისუნთქავს ჰაერს და ანთებული თვალებით გასცქერის ლილისფერ ცას. შემდეგ ბაჯბაჯს დაიწყებს, მხიარულობს, „პოლიარნაიას“ ეჭიდავება.

ამას წინათ კი ცხადი გახდა, თუ როგორ ღრმად ჰყვარებია „ბარენცს“ თავისი ცხოვრების თანამგზავრი. უცებ „პოლიარნაია“ ძირს დაეცა ენაგადმოგდებული და სულს ღაფავდა. „ბარენცი“ მაშინვე მომიჯნავე გალიაში გადაიყვანეს და ჩაკეტეს.

დათვმა შემზარავი ღრიალით გამოთქვა თავისი წუხილი. გაშმაგებული ახტებოდა ხარიხებს, კარის გაღებას ცდილობდა, კბილებით ღრღნიდა რკინას.

მეორე დღეს „ბარენცი“ მეგობართან შეუშვეს. ავადმყოფთან მასვლისთანავე მან ტუჩები „პოლიარნაიას“ ყურთან მიიტანა, თითქოს გასამხნევებელ სიტყვებს ჩასჩურჩულებსო. შემდეგ ზურგი და თეძო აულოკა. ამით რომ ვერაფერი უშველა, მუჯლუგუნის ცემა დაუწყო. ასეთი ნამდვილად „დათვური მოსიყვარულების“ შემდეგ ავადმყოფი შეწუხდა, აღრიალდა. მაშინ პარკის თანამშრომელმა „ბარენცს“ რკინის ჯოხი მოუღერა და უყვირა: „წადი, საიდაც იყავი“. ადამიანის ბრძანებას დათვი უსიტყვოდ დაემორჩილა. იგი კვლავ გალიაში ჩაკეტეს. ამის შემდეგ აღარ ნერვიულობდა, ყურადღებით ადევნებდა თვალს, როგორ უვლიდნენ მის მეგობარს.

დიაგნოზის დასმისაგან პარკის ექიმებმა თავი შეიკავეს. გადაწყვეტეს მიენდოთ კონსილიუმისათვის. მოიწვიეს ცნობილი ვეტერინარები — დოცენტი პ. მაღრაძე, პ. თათარიშვილი და სხვები.

კონსილიუმმა გადაწყვიტა ავადმყოფი დათვისათვის შეეშხაპუნებინათ პენიცილინის ხსნარი, გაეწმინდათ კუჭი, მიეცათ გულის გასამაგრებელი წამლები და ა. შ.

დიდი სადავიდარაბო საქმე გაუჩნდა ვეტექიმს გივი გუმბერიძეს. ავადმყოფი, მიუხედავად ამისა, რომ ძალიან დასუსტებული იყო, ხარიხზე თოკით მიაბეს და მკურნალობას შეუდგნენ. ორი დღის შემდეგ „პოლიარნაიამ“ ჭამა დაიწყო, შემდეგ ფეხზე ადგა, გაიარ-გამოიარა და რკინის ხარიხებში ტუჩი გაჰყო, თითქოს „ბარენცს“ ეუბნებოდა, კარგად ვარო.

ვეტერინარულ ამბულატორიაში დილით ჰომეოპათმა ქალმა ბადით პირახვეული მელა ჰოიყვანა. ექიმმა დიაგნოზი დასვა: ეგზემა. მელას დაავადებულ ადგილზე ბალანი ააჭრეს და მალამო წაუსვეს. ამბულატორიის კართან თავის რიგს ელოდა მეორე „პაციენტი“ — წეროტურფა. იგი მეორე წეროტურფასთან ჩხუბის დროს „დაიჭრა“ და სისხლი სდიოდა. ექიმმა, სათანადო დამუშავების შემდეგ, ჭრილობა შეუხვია. წეროტურფა კავკასიურმა ხოხობმა შეცვალა — მას წვივის ძვალი მოეტეხა. ამჯერად მოტეხილობის ადგილი თაბაშირში ჩასვეს.

ვეტერინარულ ამბულატორიაში მოჰყავთ მხოლოდ ხელზე გაზრდილი, მოთვინიერებული ცხოველები და ფრინველები. დანარჩენ ცხოველებთან — მეტწილად მტაცებლებთან — ექიმები „ბინაზე“ გამოძახებით მიდიან.

როგორც ცნობილია, წამალი მწარეა და ცხოველებს, როგორც ჭირვეულ პატარა ბავშვებს, იგი ეზიზღებათ. ამიტომ მათ წამალი ეძლევათ იმ საკვებთან ერთად, რომელიც მათ ყველაზე მეტად უყვართ.

ზოოპარკში ცხოველებს გულმოდგინედ მკურნალობენ. ხმარებაშია თანამედროვე პრეპარატები — პენიცილინი, სტრეპტომიცინი, ბიომიცინი და სხვ. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დაავადებათა პროფილაქტიკას. ამისათვის იყენებენ აცრებს, სადეზინფიციას.

ალ. ივანიძე.

* * *

სურათზე: ვეტექიმი გ. გუმბერიძე პენიცილინის ხსნარს უშხაპუნებს „პოლიარნაიას“.

ფოტო გ. შენგელიასი.

ცეილონის გაერთიანებული პროფკავშირული დელეგაცია საქართველოში

29 აგვისტოს თბილისიდან სოჭში გაემგზავრა ცეილონის გაერთიანებული პროფკავშირული დელეგაცია, რომელიც რამდენიმე დღეს სტუმრად იყო საქართველოში. დელეგაციის წევრები გაეცნენ რესპუბლიკის მშრომელთა ცხოვრებასა და შრომას, პროფკავშირულ მუშაობას. ისინი იყვნენ ჩაის საწონ ფაბრიკაში, № 2 თამბაქოს ფაბრიკაში, დაათვალიერეს საქართველოს დედაქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილები.

ცეილონის პროფკავშირული მოღვაწეები შეხვდნენ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ა. ე. მელაძეს. საუბარში მათ აინტერესებდათ საქალაქო საბჭოს აღმასკომის სტრუქტურა, საქალაქო მეურნეობის განვითარება.

დელეგაცია დაესწრო საქართველოს პროფსაბჭოს საზეიმო პლენუმს, რომელიც საბჭოთა პროფკავშირების 50 წლისთავს მიეძღვნა.

ცეილონელი სტუმრები გაემგზავრნენ ქალაქ რუსთავში. აქ ისინი გაეცნენ ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის წარმოების ორგანიზაციას, მუშათა შრომის პირობებს, მეტალურგთა კულტურის სასახლის მუშაობას. მათზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სახელმწიფო ვეჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუშაკთა პროფკავშირის პიონერთა ბანაკის ნახვამ კოჯორში.

თბილისიდან გამგზავრების წინ სამრეწველო და სავაჭრო მუშაკთა პროფკავშირის ვიცეპრეზიდენტმა, ცეილონის გაერთიანებული პროფკავშირული დელეგაციის პასუხისმგებელმა მდივანმა ჰექტორ ვიჯეტუნგამ განაცხადა:

— ის, რაც საბჭოთა კავშირში ვნახეთ, მოწმობს უდიდეს პროგრესს, რომელიც საბჭოთა ადამიანებმა მოიპოვეს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში.

მუშებისათვის წარმოებაში, ამაში დავრწმუნდით რუსთავში მეტალურგიული ქარხნის დათვალიერების დროს, შექმნილია შროშის უაღრესად ხელსაყრელი პირობები. მათს მუშაობას დიდად აფასებენ. პროფკავშირები დიდ ზრუნვასა და ყურადღებას იჩენენ მშრომელებისათვის.

— საბჭოთა ადამიანები, — აღნიშნა შემდეგ ჰექტორ ვიჯეტუნგამ, — რომლებიც შემოქმედებითს შრომას ეწევიან, მხურვალედ ესწრაფვიან მშვიდობას. ხალხის მისწრაფება მშვიდობის დაცვისადმი მძლავრი იარაღია ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

დასასრულ ჰექტორ ვიჯეტუნგამ თქვა:

— ნასიამოვნები ვართ იმ მეგობრული მიღებით, რომელიც ყველგან მოგვწყეს. თქვენში თავს ისე ვგრძნობდით, როგორც შინ. გთხოვთ ჩვენი ძმური სალამი გადასცეთ საქართველოს მშრომელებს. (საქდესი).

თბილისში ჩამოვიდა უცხოელ მწერალთა ჯგუფი

30 აგვისტოს თბილისში ჩამოვიდა უცხოელ მწერალთა ჯგუფი, რომლებიც ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალში მონაწილეობდნენ, როგორც საპატიო სტუმრები. ახლა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის თხოვნით ისინი მოგზაურობენ ჩვენს ქვეყანაში.

ჩამოსულ სტუმრებს შორის არიან ჩილის, მექსიკის, ურუგვაის, ბრაზილიის, ეროყის, პაკისტანის, ახალი ზელანდიისა და სხვა ქვეყნების ახალგაზრდა პოეტები და მწერლები.

აეროდრომზე უცხოელ ლიტერატორებს გულთბილად შეხვდნენ საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირისა და საქართველოს უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების წარმომადგენლები. (საქდესი).

სპორტის ამბები

★ ★

წყალგურთელთა საკავშირო ჩემპიონატი



გუშინ თბილისის ფიზკულტურის პარკის საცურავ აუზში საზეიმოდ გაიხსნა „ბ“ კლასის წყალბურთელთა კოლექტივების საკავშირო ჩემპიონატი.

თბილისში სტუმრად იმყოფებიან მოსკოვის, ლენინგრადის, რსფსრ, უკრაინის, აზერბაიჯანის, ბელორუსიის, სომხეთის, ესტონეთის და სხვა რესპუბლიკების ნაკრები კოლექტივები.

ასპარეზობაში მონაწილე გუნდები გაყოფილი არიან სამ ქვეჯგუფად; გათამაშება მიმდინარეობს წრიული სისტემით ერთ წრედ. ქვეჯგუფებში გამარჯვებული ორ-ორი გუნდისაგან შეიქმნება ფინალური ჯგუფი. ეს გუნდები იბრძოლებენ პირველი ექვსი ადგილის გასანაწილებლად.

დასკვნითს ასპარეზობაში პირველ ორ ადგილზე გამოსული გუნდი გადაყვანილი იქნება „ბ“-დან „ა“ კლასში.

გუშინ დილით შედგა პირველი კალენდარული შეხვედრები. ლენინგრადის „სპარტაკმა“ დიდი ანგარიშით (9:0) დაამარცხა ყირგიზეთის წყალბურთელთა ნაკრები კოლექტივი. რსფსრ მეორე ნაკრებმა გუნდმა მოუგო სტალინგრადის „სპარტაკს“ 9:1.

მწვავე ბრძოლით ხასიათდებოდა სომხეთის ნაკრებისა და მოსკოვის ენერგეტიკული ინსტიტუტის („ბურევესტნიკი“) გუნდების მატჩი. შეხვედრა დამთავრდა ფრედ 2:2.

საქართველოს წყალბურთელთა კოლექტივი — „ბურევესტნიკი“ ჩარიცხულია მესამე ქვეჯგუფში.

„ბ“ კლასის წყალბურთელთა ასპარეზობა 8 სექტემბრამდე გაგრძელდება.

* * *

სურათზე: მოსკოვის ენერგეტიკული ინსტიტუტისა და სომხეთის ნაკრები გუნდების მატჩის ერთ-ერთი მომენტი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

სსრ კავშირის მოჭადრაკეთა გამარჯვება

ბადენში დამთავრდა ფინალური შეჯიბრება ჭადრაკში ევროპის გუნდურ პირველობაზე.

საბჭოთა მოჭადრაკეებმა ამ მძაფრ ბრძოლაში წარმატებით ჩაატარეს შეხვედრათა უმრავლესობა და 60 შესაძლებლობიდან 41 ქულა შეაგროვეს. სსრ კავშირის გუნდმა ევროპის ჩემპიონის წოდება მოიპოვა.

ყველაზე უკეთესი პირადი შედეგი ჰქონდა კორჩნოის, რომელმაც 6-დან 5½ ქულა შეაგროვა.

საერთაშორისო შეხვედრა

28 აგვისტოს მოსკოვში გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება ფეხბურთში საფრანგეთის კლუბის „ნიცას“ და მოსკოვის „ტორპედოს“ გუნდებს შორის.

პირველი ტაიმი მეტწილად ტორპედოელთა უპირატესობით მიმდინარეობდა და დამთავრდა მათივე სასარგებლოდ 4:1.

შეჯიბრების მეორე ნახევარში განუწყვეტელ წვიმდა. მოწინააღმდეგეთა ენერგიული ცდის მიუხედავად ანგარიში არ შეცვლილა. გაიმარჯვა მოსკოვის „ტორპედოს“ გუნდმა 4:1.

უძლიერესთა ასპარეზობა მძლეოსნობაში

28 აგვისტოს მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე დაიწყო სსრ კავშირის 29-ე პირველობის გათამაშება მძლეოსნობაში. ერთმანეთს პირველობას ეცილება 15 მოძმე რესპუბლიკის 1.200-ზე მეტი სპორტსმენი.

პირველ დღესვე გამოვლინდნენ ახალი ჩემპიონები. ესენი არიან: სპორტულ სიარულში 20 კილომეტრზე — ა. ეგოროვი, ვაჟთა შორის ბირთვის კვრაში — ვ. ლოშჩილოვი, სიმაღლეზე ხტომაში — ვ. სიტკინი, ქალთა შორის სიგრძეზე ხტომაში — ნ. კაზმინა.

ევროპის პირველობა ნიჩბოსნობაში

დუისბურგში დამთავრდა ევროპის პირადგუნდური პირველობის გათამაშება აკადემიურ ნიჩბოსნობაში ქალთა შორის. ასპარეზობაში მონაწილე 12 ქვეყნის სპორტსმენთა კოლექტივებს შორის ყველაზე ძლიერი იყო საბჭოთა კავშირის გუნდი.

ნიჩბოსნობის ხუთივე სახეობაში ჩემპიონის წოდება და ოქროს მედლები ქალთა შორის მოიპოვეს საბჭოთა სპორტსმენებმა.

29 აგვისტოს დაიწყო ვაჟთა შეჯიბრება.

თბილისის კორტებზე

1 სექტემბერს თბილისში გაიხსნება მიმდინარე სასპორტო სეზონის ერთ-ერთი დიდი შეჯიბრება — საბჭოთა კავშირის პირად-გუნდური პირველობის გათამაშება ჩოგბურთში. ორი კვირის განმავლობაში 14 სასპორტო საზოგადოების უძლიერესი ჩოგბურთელები იბრძოლებენ ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის გარდამავალი პრიზისათვის, ოქროს მედლებისა და ჩემპიონის მაისურებისათვის.

სამი მოწინავე კოლექტივი — სსრ კავშირის ჩემპიონი „დინამო“, „ბურევესტნიკი“ და „სპარტაკი“ — გამოდის პირველ ჯგუფში. პროფკავშირთა სასპორტო საზოგადოებების — „კალევის“, „დაუგავას“, „ეალგირისის“, „შახტიორის“, „ენერგიის“, „კრილია სოვეტოვის“, „ავანგარდის“, ნეფტიანიკის“, „ლოკომოტივის“ გუნდები ერთმანეთს შეეჯიბრებიან მეორე ჯგუფში.

გუნდურ შეჯიბრებათა დამთავრების შემდეგ 6-დან 15 სექტემბრამდე გათამაშდება პირადი პირველობა. ჩემპიონის წოდების მთავარ კონკურენტებს შორის არიან ვ. კუზმენკო („დინამო“) და ს. ანდრეევი („სპარტაკი“), სპორტის დამსახურებული ოსტატები ნ. ოზეროვი და ნ. ბელონენკო („სპარტაკი“), სპორტის ოსტატები ვ. ფილიპოვი, ლ. პრეობრაჟენსკაია, ს. ფრიდლიანდი, ს. მირზა და სხვ.

საერთოდ თბილისის კორტებზე გაიმართება დაახლოებით 2.500 ორთაბრძოლა. შეხვედრები ერთსა და იმავე დროს მოეწყობა 30 კორტზე. შეჯიბრების მთავარი მსაჯია ვ. კანდელაკი.

მთების ჯადოქარნი

1945 წელს ოქტომბერი სპორტს სამი ოსტატი მოაფლიო რეკორდს ამყარებდა. ესენი იყვნენ ალორა ჯიდარიძე, ელენა ბერიანი და ნიკოლოზ მუხინი. მათ ერთად აქვთ დასახული ზამთრის სუსხიან პირობებში აეღოთ ფრისხანე უშბას ორივე მწვერვალი და შემდეგ იქიდანვე ძირს დაუშვებლივ გადაეცალოთ ზხელდას წვეტიანი მწვერვალები.

არ დასცალდათ!

უშბას მწვერვალზე და მის კალთებზე მოულოდნელად ისეთი ძლიერი ქარბუქი ატყდა, რომ სამი მთამსვლელი იძულებული იყო მწვერვალზე დარჩენილიყო. აქ მათ გათხარეს თოვლში ორმო, ჩაძვრნენ შიგ და ზემოდან კარავი გადაიხურეს.

ნაცაცა მთამსვლელებმა ამ ფდგომარეობაში შვიდ დღე-ღამეს დაჰყვეს. საგზალი შემოელიათ.

ძირს დაბანაკებული მაშველი ჯგუფი ალექსანდრა ჯაფარიძის ხელმძღვანელობით გულისფანცქალით ელოდებოდა გამოდარებას, რომ ასულიყო მწვერვალზე და იქ დაკარგულები მოეძებნა. მერვე დღეს გამოიდარა, და დახეთ მაშველი ჯგუფის სიხარულს! მათ ბინოკლით შენიშნეს სამი შავი წერტილი, რომლებიც ფრთხილად და ძალიან ნელა ეშვებოდნენ მწვერვალიდან. ეტყობოდათ ძალზე დასუსტებული უნდა ყოფილიყვნენ. მაგრამ ამას ვიღა ჩიოდა! დღეს საღამოთი თუ არა, ხვალ ხომ უთუოდ ჩამოაღწევდნენ ბარში. მოულოდნელად ისევ ქარბუქი ატყდა და მთამსვლელები ფბიდველობიდან მიიმალნენ.

როგორც კი გამოიდარა, მაშველი ჯგუფი ავიდა უშბას მწვერვალზე და გზადაგზა გულმოდგინედ ეძებდა დაკარგულების კვალს. არსად არაფერი ჩანდა. მწვერვალზე ნახეს ორმო და იქ ჯაფარიძის წერილი, სადაც იგი ჯგუფის თავგადასავალს იუწყებოდა.

მეორე წელს კვლავ გაგრძელდა დაკარგული ჯგუფის ძებნა მაგრამ ამაოდ. გულს დაჭანგულ ყინვარზე იპოვნეს მხოლოდ დაღუპულთა კარვის კალთა, სამიედოდ მიბმული კლდეზე. როგორც ეტყობა, ძილის დროს კარავს დასცემია თოვლის დიდი ზვავი და სამივე მთამსვლელი რომელიღაც ნაპრალში გაუტაცია.

ახლა, თორმეტი წლის შემდეგ, ყინვარის თანდათან ქვევით მოძრაობის და გალეშის შედეგად გამოჩნდა ალიოშა ჯაფარიძისა და ქელეშაი ონიანის ნეშტები.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ იქვე სადმე აღმოჩნდება ნიკოლოზ მუხინის ნეშტიც.

მათი ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება ჩვენს გულში.

ე. ლუკაშვილი,
უხუცესი მთამსვლელი.

სპორტის დამსახურებული ოსტატის ა. ჯაფარიძის დამკრძალავი მთავრობის კომისიისაგან

სპორტის დამსახურებული ოსტატის ა. ჯაფარიძის დამკრძალავი მთავრობის კომისია იუწყება:

1. 31 აგვისტოს, საღამოს 8 საათზე, ალპური კლუბის შენობაში (კიროვის სახელობის პარკი) გაიმართება სამოქალაქო პანაშვიდი.

2. დაკრძალვა მოხდება 1 სექტემბერს.

გამოსვენება საღამოს 5 საათზე.

ქრონიკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ვიაჩესლავ მიხეილის-ძე **მოლოტოვი** დანიშნა სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში.

ამხ. ვასილ ილიას-ძე **პისარევი**, რომელსაც ეკავა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის პოსტი, დაინიშნა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის საელჩოს მრჩველ-დესპანად.

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

თბილისის „დინამოს“ სტადიონი
31 აგვისტოს
ფეხბურთი
სსრ კავშირის პირველობა
„ბ“ კლასის გუნდებს შორის
„ლოკომოტივი“ (ქუთაისი)
საოლქო სასპორტო კლუბი (თბილისი)
დასაწყისი 5 ს. 30 წ.

ტელეგადაცემათა პროგრამა
31 აგვისტოსათვის
20.00 — სატელევიზიო ჟურნალი — „მუსიკა“ № 5, 20.35 — ახალი მხატვრული ფილმი — „ხანკა“. (16 წლის ასაკამდე ბავშვებისათვის ამ სურათის ნახვა მიზანშეწონილი არ არის).

საბჭოთა ვაჭრობის საკავშირო დაუსწრებელი ინსტიტუტის თბილისის ფილიალი 2 სექტემბრიდან 20 სექტემბრამდე 15 საათიდან 23 საათამდე აწყობს სტუდენტთა ხელახალ რეგისტრაციას ინსტიტუტის შენობაში, პავლოვის ქ. № 2. სტუდენტი, რომელიც აღნიშნულ ვადაში არ გაივლის რეგისტრაციას, მექანიკურად გაირიცხება ინსტიტუტიდან.

სტუდენტები, რომლებსაც აკადემიური დავალიანება აქვთ, ვალდებული არიან დაფარონ იგი 1 ოქტომბრამდე.

მეცადინეობა ქალაქ თბილისში მცხოვრებ მე-2, მე-3, მე-4, მე-5 კურსების სტუდენტებისათვის დაიწყება 2 სექტემბერს, საღამოს 7 საათსა და 30 წუთზე, ხოლო I კურსის ახლადჩარიცხული სტუდენტები ვალდებული არიან გამოცხადდნენ სამდღიან შეკრებაზე 14 სექტემბერს.

ინსტიტუტის დირექცია.

ბენო ილიას-ძე რაზმაძის გარდაცვალებას. გამოსვენება 1-IX, 4 ს. კრონშტადტის ქ. № 70.

ვლადიმერ მალაქიას-ძე დოლიძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 1-IX, ბათუმში. გამოსვენება ბინიდან, ლომონოსოვის ქ. № 7.

ევგენია ლუკას ასულ ზაქარაიას გარდაცვალებას.

ტატიანა ლევანის ასულ ქობულიშ-ესვანჯიას გარდაცვალებას. ბინაშვიდი 1, 2-IX, 8 ს. დაკრძალვა 3-IX, 5 ს. სადგური ნავთლუღი, რკინიგზის სახლი № 15.

ალექსანდრა, ზინა, სერაფიმა, ილიოდორ, ქეთო ჩხაიძეები, ალექსანდრა, ფილიპე, ნიკოლოზ, დავით, ვახტანგ, ვენერა, ელენე გუნიები იუწყებიან **გრიშა ვასილის-ძე ასათიანის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 1-IX, ქუთაისში, 1905 წლის რევოლუციის ქ. № 8.

ქ. თბილისის კალინინის სახელობის რაისაბჭოს აღმასკომის მილიციის განყოფილების თანამშრომლები იუწყებიან **ბენო ილიას-ძე რაზმაძის** გარდაცვალებას.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეაბრეშუმეობის კათედრის თანამშრომლები იუწყებიან **ვლადიმერ მალაქიას-ძე დოლიძის** გარდაცვალებას.

ქ. თბილისის მე-6 რაიონული საგადმყოფოს თანამშრომლები იუწყებიან **ევგენია ლუკას ასულ ზაქარაიას** გარდაცვალებას.

შვილი ლეო, რძალი ნინო, და თეკლე, ი. და გ. ასტვაცატუროვები იუწყებიან **სოფიო კარაპეტის ასულ ასტვაცატუროვის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 1, 2-IX, 8 ს. გამოსვენება 3-IX, 5 ს. გოგოლის ქ. № 19.

**მეუღლე ვასილ, შვილები მარო, ანიკო, სიძე შ